



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბოღი ბიჭ-  
უბი სიფყავა, ფედიოლებით და ჭბრებით ბუბ-  
თის გაღანა ყულა უკარბისბბაჟ უსამაგლოსია.

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 22 ივნისი. 2022 წ. №77 (9415) ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

## ნაპოკითხეთ ეს ნერიდი ჩვენს უხიბ მოზონიას!



რა ხდება უკრაინაში იმ ოფიციალური ცნობების მიღება,  
რომლებსაც მთელი მსოფლიო ყურდღებით აღევნებს  
თვალს? როგორ შეიძლება რიგითი უკრაინელების  
ცხოვრება? როგორია მათი განწყობა-  
დამოკიდებულება ომის მიმართ, იმედი თუ უიმედობა  
უახლოეს მომავალთან დაკავშირებით?

3

## უკრაინა: განწყობის თეორია და მოულოდნელი პრაქტიკა

## ველური ② გაკვლეები უპროპიდან!




## რას ნიშნავს „დემოკრატიზაცია“?!



ლია გელიჩიშვილი:  
ტრადისიების გადარჩენა:  
პრესბოების გაბრძობა  
⑥ პირტუალურ ველში

## ვალერიან ლომიძე: 7 ბუბრის ერთიანობის სასიკეთო ნაბიჯები

### ეჭვი-სეისმოგრაფია



## „ეპროპაგ, გახსოვს?“

გალაკტიონის ერთი  
ნაკლებად ცნობილი  
ლექსის გამო

ალბათ, ყველა ჩემსავით იმეფავს – რომელი პოეტის მიხედვით, იმისი პოეზია ცხოვრების თანამგზავრი ბიძგება, სიხარულისა თუ მოწყენილობის ჰაბი ფურცლავ იმის რომელიმე პოეტურ პრაქსულს, თანაც აკლიან ხშირად, და ბუნებრივად და თვალს ერთნაირად ემატება ნათელი, ხოლო გულს – ქართული სიტყვის სიყვარული.

დიახაყ, ასეა ჩემთვის ერთ-ერთი უმართლესი პოეტი, რომელიც ოდესმე დაბადებულა საქართველოში. აკი თავადვე ამბობს, ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტისათ, ეს პოეტის შინაგანი ხმაა, უტყუარი, გონების დაუკითხავად გული რომ გამოსცემს.

გალაკტიონის პოეზია, ჩემი ამრით, იმითაა გამორჩეული, რომ სუფოველი სიტყვის, სტრიქონის გამოფერის შემდგომ პოეტის თანამედროვე დრო ისევე მკაფიოდ ჩნდება, როგორც სარკეში ადამიანის სახე. პოეტის ერთ-ერთი ძველი კრებულის ფურცელისას უცაბედად წაგაწვდი სვავათათვის არ ვიცი, ჩემთვის კი ნაკლებად ცნობილ ლექსს, რომელიც ინტერნეტშიც იშვებება. ვფიქრობ, დაწერილი უნდა იყოს XX საუკუნის 30-იან წლებში, როცა პოეტი პარიზში რომელიღაც კონგრესს ესწრებოდა...

დღეს, როცა ამდენს ვლაპარაკობთ ევროპაზე, რომლის ოჯახის წევრობაც საბოლოოდ გადაგვიწყვეტია და რომელმაც, როგორც გაკვეთილის არმცოდნე მოწაფე, ჯერჯერობით კუთხეში დაგვყენა, ვინ იცის, იქნებ უსამართლოდაც, პოეტის თვალსაწიერში თითქმის ისევე გამოიყურება, როგორც იმჟამად იყო. ლექსში გარკვეული შეფარული დოზით აშკარად იგრძნობა გალაკტიონისთვის ჩვეული ირონია და, ცოტა არ იყოს, ცინიზმის ნაპერწკალიც, რაც უთუოდ აკლია დღევანდელ ქართველთა ევროპულ შეფასებებს. არადა, იქაც ჩვეულებრივი ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებებს, ხშირად ჩვენი ეგრეთ წოდებული მეხუთე კოლონის მეგავლენით, რაც ფრიად დასანანი, მაგრამ რას ვიზამთ, თავპატივი ნამდვილად არ გამოვა, წინ ექვსთვიანი ორსულობა და ვნახოთ, ბიჭი იქნება თუ გოგო. ამჟამად კი მოთმინება გემართებს, რამეთუ მოთმინებითა ჩვენითა უნდა „მოვიპოვოთ კანდიდატობის სტატუსი ჩვენი“.

ნუ ვიგულმა ვიწყებთ, გამოყოფილი გვაქვს სამემოდგომო გამოცდა თორმეტი საგანში... ქვემოთ გათავაზობთ გალაკტიონის შემოსუნებულ ლექსს, თავისი დროის უთუო თავისებურ სეისმოგრაფიას:

„ეპროპაგ, გახსოვს?  
ევროპაგ, გახსოვს?  
რომ გარიგებდნენ:  
შენ მწუსარებას არ მისცე თავი,  
გზაში შეგვგდება  
მერანი ორი –  
ერთი თეთრი და მეორე შავი.  
თუ მოახერხე  
თეთრზე შეჯდომა,  
არ შეგეშინდეს მისი კისრულის,  
ის ფეხით კლდეებს  
გადაექდობა,  
შენ ნათელ მხარეს  
გადაგისროლის,  
მაგრამ თუ შავზე  
მოხვდი შეცდომით –  
საამსოფლიოდ არ ევარგები,  
მწარედ ინახებ  
მასზე შეჯდომით,  
სადმე წყვდიადში გადაიკარგები.  
რომ დაიღუპე,  
ქვეყანამ იცის,  
და არავისზე გაბედო ძვირი,  
შენ აირჩიე  
შავი – და ისიც  
არა მერანი, არამედ ვირი“...

ასე ხედავდა პოეტი იმჟამინდელ ევროპას, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, საბედნიეროდ, მოასწრო თეთრ მერანზე გადაჯდომა. ასე რომ, ექვსი თვის თავზე ნათელი მხრიდან უნდა ველოდოთ ევროპის ბეზბიქალობას.

გურამ გოგიაშვილი



მთავრობის ადმინისტრაციის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, როგორც იქნა სტოლტენბერგის მოსაწვევე წერილშია აღნიშნული, სამიტის ფარგლებში გამართულ დისკუსიებში აქცენტი უნდა გაკეთდეს გლობალურ გამოწვევებზე.

„მოგმართავთ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამიტზე მოწვევით, რომელიც ესპანეთის ქალაქ მადრიდში 28-30 ივნისს გაიმართება.“

კონკრეტულად, მინდა გთხოვოთ სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა დონეზე გამართულ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სპეციალურ შეხვედრას დაესწროთ 29 ივნისს ნაშუადღევს. ხსენებულ

### ირაკლი ლარიბაშვილი ნატოს პარტიის სამიტს დაესწება

შეხვედრაზე ასევე მოვიწვევთ ავსტრალიის თანამეგობრობის პრემიერ-მინისტრი, ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, იაპონიის პრემიერ-მინისტრი, კორეის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი, შვედეთის პრემიერ-მინისტრი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი და ევროკომისიის პრეზიდენტი.

უდავოდ გადამწყვეტ დროს ვიკრიბებით. უკრაინის ტერიტორიაზე შეღწევით რუსეთმა ევროპაში მშვიდობა დაამსხვრია. გლობალური უსაფრთხოება ახლა ხელახლა განისაზღვრება, თან ამ უსამართლო და არაპროვოცირებული ომის შედეგი ევროატლანტიკური სივრცის მიღმაც შეიგრძნობა. რუსეთი და სხვა ავტორიტარული ძალები გამოწვევებს უქმნიან წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს. ტრანსატლანტიკური თანამეგობრობის მყისიერი პასუხი რუსეთის ბრუტალური აგრესიის მიმართ შთამბეჭდავია, თან ერთობასა და სოლიდარობაზე მეტყველებს.

ჩვენ დისკუსიებში აქცენტი უნდა გადავიტოვოთ გლობალურ გამოწვევებზე და მათ შორის განსაკუთრებით განვიხილოთ ყურადღება ჩინეთის მზარდ ძალაუფლებასა და გავლენის არეალზე, ასევე ჩვენი ინტერესებისა და უსაფრთხოების სფეროში მის შედეგებზე. მადრიდის სამიტზე მოკავშირეებს შორის შეთანხმდება ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ალიანსის საკვანძო პრინციპებია და ამოცანების განსაზღვრება მოახდენს უფრო საშუალო და არაპროგნოზირებადი სამყაროსადმი ალიანსის შესაზადებლად. ხსენებული კონცეფციით მოხდება ახალი პოლიტიკის განმტკიცება რუსეთის მიმართ, საერთო საფუძველი განისაზღვრება ჩინეთთან მომდინარე გამოწვევებთან დაკავშირებით და განმტკიცდება ჩვენი მიზანსწრაფულობა ყველა საფრთხესთან მიმართებით ყველა მოკავშირის დასაცავად. მოუთმენლად ველი თქვენს ხილვას მადრიდში! - აღნიშნულია წერილში.

### ირაკლი ლარიბაშვილი - ყატარში

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ყატარში მაღალი დონის ეკონომიკურ ფორუმს ესწრება. ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ლარიბაშვილი ყატარის ემირს შეიხ თამიმ ბინ ჰამად ბინ ხალიფა ალ-თანის შეხვდა.



შხარეებმა მზადყოფნა გამოთქვეს არსებული მჭიდრო და მეგობრული კავშირების განვითარებაზე ყველა მიმართულებით, მათ შორის პოლიტიკური, ვაჭრობისა და ეკონომიკის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურისა და სხვა. პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ყატარის ემირს ფორუმზე მიპატიჟებისთვის და საქართველოში მოიწვია.

ყატარში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერი ყატარის პრემიერ-მინისტრს კასიმ-ფომარტ ტოკაევს შეხვდა. მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. აღნიშნა ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობები და მზადყოფნა გამოითქვა არსებული თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებაზე.

## ველური მკვლელები აპროპიდან!

### რას ნიშნავს „დეოლიგარქიზაცია“?!

„მინდის შეშლია გასაგებად ახსნას, რას გულისხმობს ეს ტერმინი, რასაც აპროპიანის რეკონსტრუქციის ვიდეო-ბიტი - „დეოლიგარქიზაცია“! რა უნდა გავაკეთოთ, ნუთუ ის, რასაც სააკაშვილი მოგვინოვებდა - მიუვარდეთ ბიძინას, რომელსაც თურმე სასახლის სარდაფში 800 მილიონი ევრო აქვს, გამოვართოთ იქიდან, წავართვათ ყველაფერი, მერე კი დავსაჯოთ, დავსაჯოთ სასტიკად და შეუბრალებლად?! თუ ამას, ე.ი. წრეგადასულ ბარბაროსობას, რისკენაც ნაცები მოგვინოვებდნენ, არ ნიშნავს, მაშ რა შინაარსი აქვს, როგორ უნდა შევასრულოთ ეს ენ. რეკომენდაცია?!



ყველაზე გავლენიანი ადამიანია საქართველოში? იყენებს თუ არა იგი ამ გავლენას, მნიშვნელობა არა აქვს - ეს გავლენა არ მცირდება და რასაკვირველია, ბევრად აღემატება ნებისმიერი პარტიისა თუ ვინც გინდა იყენებ, პიროვ-



## რისხვა - არსაით!

### ისევ ღია კარის მბრუნვა

სამოქალაქო აქციად და პროტესტად შეფუთული პოლიტიკური მიზნები, რომლის განხორციელებასაც ოპოზიციისა და კარძომ „ნაციონალური მოძრაობა“ 24 ივნისს აპირებს - რეპორტაჟი ალფონსო, მოძრაობა „სირცხვილია“ მიერ 20 ივნისს ჩატარებულ აქციაზე ბარბარული ტესტი იყო იმისთვის, რომ 24 ივნისს, როცა იპროპიანის ოპოზიციისა და გამოაცხადებს, რომ კანდიდატის სტატუსი მსოფლიო მოღვაწისა და უკრაინის მიანიშნებს, აქცია პოლიტიკური ხასიათს მიიღებს.

გაჩნდება პოლიტიკური მოთხოვნები და ვითომ ირონიული სახალხო მოძრაობის სახელით პრეზენტაციულ აქციას დაიწყებენ. ამით კი, სავარაუდოდ, დასაველითს არგუმენტად, რომ ძვირანაში პროტესტის სათავეში ხალხია და არა პოლიტიკოსები, რაც მათი მხრიდან „ოცნებაზე“ ზედწოდის გააქტიურების მიზანმიმართული სადავითი დათმონ. თუმცა ანალიტიკოსები გარკვეულად, რომ რეპორტაჟი აქციის ირგვლივ პოლიტიკური მდგომარეობის გაჩენა, ხალხი მისგან დისტანცირებას დაიწყებს. ამიტომ ვიძრობან, რომ ოპოზიციის კიდევ ერთ შეცდომას დაუშვებს, თუკი კვლავ ამ გზას დააგრძელებს. ასევე მათთვის უცნობია, რას უპირებს „ოცნებაში“ ამოგრაჟივლა.

„სირცხვილია“ კი 24 ივნისს მორიგ აქციას აანონსებს და ახალ სახალხო მოძრაობას აფუძნებს, - ამის შესახებ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე „შინ ევროპისკენ“ მოძრაობის წევრმა შოთა დიღმელაშვილმა თქვა. მან აქციის მონაწილეების წინაშე „ქართველი ხალხის მანიფესტის“ ტექსტი წაიკითხა

„2022 წლის 24 ივნისს ევროკავშირი საქართველოსთან დაკავშირებით გადამწყვეტილებას გვამცნობს და ჩვენ ისევ აქ შევიკრიბებით. ეს შეხვედრა იქნება არა მხოლოდ იმისთვის, რომ ევროპული მმართველობისკენ მივმართოთ ჩვენი სიყვარული, არამედ უწინარეს იმისთვის, რომ ოლიგარქიული მმართველობისკენ მივმართოთ ჩვენი რისხვა!

ამიტომ 24 ივნისს თქვენ წინაშე წარდგება ახალი მოძრაობა, რომლის სათავეშიც იდგება ხალხი. ჩვენი მოწოდებაა, შევექმნათ სახალხო მოძრაობის ეროვნული საბჭო თანაბარ, ერთმნიშვნელოვანი პარტიტებით, თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ხმათა უმრავლესობით, რომელიც გაგვეერთიანებს ყველას: სამოქალაქო მოძრაობებსა და ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტთა და მედიაგვერთიანებებს, პოლიტიკურ პარტიებს, სტუდენტურ, კულტურულ და პროფესიულ კავშირებს. მასში შემავალი ყველა ჯგუფის კონსენსუსის საფუძველზე, ახალი სახალხო მოძრაობა წამოაყენებს მოთხოვნებს ხელისუფლების წინაშე.

იხ. 5 გვ.

ათენის დემოკრატიის იყო ასეთი „წმინდა დემოკრატიული“ ველურობა - სახელად ერქვა „ოსტრაკიზმი“. ამ ველურობის შინაარსი, დიხანაც, სწორედ დემოკრატიული უსჯულოება გახლდათ: თუკი ვინმე, ათენის მოქალაქე, უზომო გავლენას მოიპოვებდა, აგორა კენჭს უყრიდა საკითხს ამ გავლენიანი მოქალაქის ათენიდან გაძევების შესახებ. კენჭისყრის შედეგად ეს გავლენიანი მოქალაქე ქონების კონფისკაციით ანდა უამისოდ, თუ კრება ამას გადამწყვეტდა, ვალდებული იყო სიკვდილით დასჯის მუქარით, სასწრაფოდ დაეტოვებინა ათენის ტერიტორია და სამშობლოდან სამუდამოდ გადახვეწილიყო!

ამას, ე.ი. მსგავს დემოკრატიულ ველურობას გვთავაზობს ევროპა? ოსტრაკიზმს ანდა უარესს, ბიძინას ლიწის წესით დასჯას, რასაც ნაცები და მათ მიერ ტვინგამოცლილი ბრბო დაფინანსებით მოითხოვენ? თუ არადა, თავად იმუქრება ბიძინას სანქციებით დასჯით? რასაკვირველია, ჩვენ ველურები არა ვართ და მსგავს ბარბაროსულ რეკომენდაციებს, დემოკრატიისთვის მსხვერპლად შესაწირად საჯაროდ „დავკლათ“ ბიძინა, ყურად ვერ ვიღებთ! „არა და არასდროს“!

დავით ზარდიაშვილი, ანალიტიკოსი

# ზაზა გელოვანი

ჰიპოთეზა:

რა ხდება უკრაინაში იმ ომის დროს, რომელიც მთელი მსოფლიო ყურდღებით აღვივებს თავს? როგორ შეიძლება რიგითი უკრაინელი მხარეების ცხოვრება? როგორია მათი განწყობა-ღამოკილება უკრაინის მიმართ, იმედი თუ უიმედოა უახლოეს მომავალში დაკავშირებით? შევეხებით, მოკლე მოგონებებით იმის შესახებ, რასაც ვხედავ და ვისმინ აქ – უკრაინაში.



# უკრაინა: განწყობის თეორია და მოულოდნელი პრაქტიკა

**წააკითხეთ ეს წერილი ჩვენს უპიც ოპოზიციას!**

თავიდანვე მინდა ვთქვა და უფრო გასაგები რომ იყოს, პარალელურ ქართულ რეალობასთან გავვადგინო: წარმოიდგინეთ – ერთი მხრივ „კონსერვატიული მოძრაობის“ გაგანია მხარდამჭერი და „ალტ-ინფოს“ მუდმივი მაყურებელი, თანაც ეთნიკურად რუსი და მეორე მხრივ – „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და სააკაშვილზე ლოცვაში მუხლებგადატყავებული „ევროქართველი“... ერთი მისხალითაც კი არ ვაჭარბებ: ზუსტად ისეთივე განსხვავება იყო ომამდე, სტანდარტულ აღმოსავლელ უკრაინელსა და სტანდარტულ დასავლელ უკრაინელს შორის რუსეთისადმი დამოკიდებულებაში.

**რუსებმა, თავისი იდენტობაზე და მისი მხარის მხარეებით, იმას მიადანეს, რომ აღმოსავლეთ-უკრაინელი რუსები და რუსულენოვანი უკრაინელებიც „რუსები ჩიჩქის“ მოქალაქეა ბრძოლაში ჩაბრუნდნენ.**

მე, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ომის დაწყებიდან მოყოლებული, აღმოვაჩინე უკრაინის რამდენიმე ქალაქში მომხდარი ყოფნა: სუმის, ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკის, ხარკოვის ოლქებში – ზოგან ორი, ზოგან სული და ზოგანაც ათი დღით, იმ ქალაქებში, სადაც ომამდე ჩავდიოდი ხოლმე. ამიტომ ძნელი არ იყო ჩემთვის დაკვირვება და შემოგამოთქმული დასკვნის გამოტანა.

**ერთ მაგალითს მოვიყვან: სუმის ოლქში არის ქალაქი შოსტკა. უკრაინული საზოგადოებით დიდი ქალაქი არ არის, რაიონული ცენტრია, მაგრამ ჩოხატაურისგან თუ წალკისგან განსხვავებით, 80 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. რუსეთის საზღვრამდე ერთი ხელის განვადანა. „საბჭოთა მოქალაქეებს“ კარგად უნდა გვახსოვდეს: მაშინდელი ფილმების (მათ შორის ქართული ფილმების) ბოლო ტიტრი იყო არა „ფილმის დასასრული“, არამედ „ფილმი გადაღებულია შოსტკის საწარმოო გაერთიანება „სვემას“ ფირმზე“, ხოლო ვინც ფოტოგრაფიით ვიყავით გატაცებული ან ტრ. ბაზინების მანქანით გვეყოფდა, იმისთვის „სვემა“ კიდევ ურო ახლობელი გახლდათ.**

მოკლედ, სწორედ იმ ქალაქზე გიყვებით თვალსაჩინოებისთვის: შოსტკაში უფროსი (არასასაკოლო) ასაკის მოსახლეობის 90 პროცენტი რუსულენოვანია (აღრე 100 პროცენტი იყო). „არასასაკოლოს“ იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ სუმის უნივერსიტეტის შოსტკის ფილიალშიც, ორ იქაურ კოლეჯშიც, ოთხ პროფესასწავლებელშიც და 15 საჯარო სკოლაშიც სწავლება მხოლოდ უკრაინულ ენაზე მიმდინარეობს და შესაბამისად იზრდებიან უკრაინულენოვანი, უფრო ზუსტად – ორენოვანი თაობა. ადრე ყველა შემოჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთი (!!) სკოლა იყო უკრაინული. სწორედ ასეთი ქალაქების იმედი ჰქონდათ რუსებს – ყვაკილებით დაგვხვდებოდნენ. და ჰქონდათ კიდევ საფუძველი.

ჩემი ორი წლის ურთიერთობის მანძილზე მე თვითონ ხმის იოგების ჩანყვეტამდე მიკამათია იქაურებთან იმაზე, რომ პუტინი „ველიკი პრეზიდენტი“ კი არაა, ჩათლახია და თქვენც ფეხებზე კიდობართ და თქვენი რუსული სკოლატმეთქი, მაგრამ მერე შევეშვი, აზრი არ ჰქონდა... წარმოიდგინეთ ჩემი ხმის იოგების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც იგივე ადამიანებმა „მისაყვედურეს“, რომ საქართველო პუტინის რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ უერთდებოდა!!!

**რუსებმა მთელი სუბსიდიური დანიშნის და მოზარდული ძალადგინდნენ მხოლოდ ეს იყო დარჩენილი. ისა მოხდა, რომ მაშინ იმ ვიხავი და ალყაშიმარცხვალ ძალადში ჩავეჩრი. უკრაინელებმა სანჯრად ფოდ ააფეთქეს ძალადში შემოსასვლელი გზები და ხიდი, ასევე – სახეივარო მასალაში ძარხნის სახეივარო. სუბსიდიური მათ ბათვისსულდა, რომ უსტაბში რუსები ვერ შემოვიდნენ. მაგრამ ჩიხს თვალწინ მოხდა საოცარი მითამორჯოვა: ვხედავდი ალაბიანებს, რომლებიც, რომ მებრუნე, პურმარილით შემოვადგომდა რუსებს, ალყის პირველი დღიდან მოყოლებული, თანდათან, მიმდებარე სოფლებიდან და დაბაიდან ნაცნობ-ნათესავების მიერ მოყოლილი ალაბიანს კვალდაკვალ, რომელიც ტრანსფორმირდებოდა უკრაინის თანდასაკლულ პატრიოტიზმად იმის შიშით, რომ ველურები მოვიდოდნენ და ყველას ბაბტყავდნენ და შეტყვდნენ.**

ემოციურად მიყვებოდა ერთი იქაური ნაცნობი: თანაკლასელს ველაპარაკე ტელეფონით, აქვე სოფელში ცხოვრობს, რუსები მისულან და უნიტახისთვის ჯერ სურათები გადაუღოთ და მერე დაუღწევით – რად გინდათ ტუალეტი სახლში, ჩვენთან თუ არ არის სოფლებში, არც აქ უნდა იყოსო...

რაც უფრო მატულობდა ინფორმაცია ტელევიზიით, ინტერნეტით, თუ ზეპირად, მით უფრო იზრდებოდა მოხალისე ახალგზრდების რიგი კომისარიატთან.

რატომ მოვყევი ეს ამბავი, იცით? რატომ და, ომმა, და ალბათ სხვა ყველა უბედურებამაც, თურმე, მიჩვევა, მობეზრება და დაღლა იცის (თუ უშუალოდ სახლში არ უვარდება ალაბიანს, ან თუ მართლა ბავშვობიდან არ აქვს შესისხლხორცებული პატრიოტიზმი, როგორც ჩვენთან). რაც გინდათ ის დაარქვით, მაგრამ ფაქტია – ათი დღის წინ, ანუ იმ დღეებიდან ორთვენახევრის შემდეგ შოსტკაში ჩასულს სრულიად სხვა ვითარება და განწყობები დამხვდა: აღარც ის ეიფორია, აღარც ის საყოველთაო აღშფოთება, აღარც ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ხალხი და საომარი ვითარების განხილვა (არადა, ფრონტზე ახლა უფრო უარესი სიტუაციაა, მაშინ უკრაინას გამარჯვების მეტი იმედი

ჰქონდა)... მოკლედ, მიდი-მოდიან თავიანთ პატარ-პატარა საქმეებზე და ფეხებზე ჰკიდიათ მეზობელ ხერსონში რუსული დროშა ფრიალებს, თუ მოზამბიკური.

**და ზუსტად მივხვდი: ის შემართება და წინააღმდეგობის სურვილი უკრაინის სიყვარულით კი არა, „უნიტახის დამტყვევის“ შიშით იყო გამოწვეული, რადგან ყველაზე კარგად სწორედ აქაურმა, უკრაინაში მცხოვრებმა რუსებმა (რომლებსაც მჭიდრო კავშირები აქვთ რუსულ პროვინციებში მცხოვრებ თვისტომებთან) იცინან, რა ნებსშიც ცხოვრობს მთელი საპუტინეთი (რამდენიმე ქალაქის გარდა) და რადგან ეს საფრთხე უშუალოდ სუმის ოლქს აღარ ეხება (ჯერჯერობით მაინც), სულაც არ ადარდებთ არც ხერსონი, არც მარიუპოლი და, საერთოდ, არც სრულიად უკრაინა.**

დაახლოებით იგივე ვითარებაა კიევშიც: როდესაც ჩემი წინა კორესპონდენცია გამოქვეყნდა საიტზე, ერთმა ქალბატონმა ფეისბუქზე დააკომენტარა – უკრაინელებს რატომ საყვედურობთ, ჩვენთან, საერთოდ, რესტორნებში ქეიფობდა ხალხი 2008-ის ომის დღეებშიო. არ ვიცი, რომელი რესტორანი ნახა გაღებული იმ მკითხველმა აგვისტოს ომის დასრულებიდან თუნდაც 10 დღის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში, ჰარი-პარალელ ნამდვილად არ ისმოდა (განსხვავებით 92-93 წლებისგან). აი, კიევში კი, ყველა რესტორანს, მათ შორის ქართულ რესტორნებს, „გუგუნი გაუდით“ და თუკი „დასწრება მაღალი არ არის“, მხოლოდ იმიტომ, რომ რესტორანში გრილის შესაძლებლობის მქონეთაგან უმეტესობა ახლა ევროპაში დასაქმებულნი უკრაინის მოსახლეობის მიხედვით...

ერთადერთი დისკომფორტი ამ მხრივ ის არის, რომ 11-დან კომენდანტის საათია და საღამოს ათ საათზე ყველა რესტორანი იკეტება, თუმცა „დილის საარამდე ქეიფს“ აქ ვერც ომამდე ქაჩავდნენ.

რესტორნები – რესტორნებად, და რაზეც ზემოთ დავხსენებ აღმოსავლეთ უკრაინის შესახებ, დაახლოებით იგივე ხდება კიევში: ისევ მთელ ხმაზე ისმის მანქანებიდან თუ მალაზიებში ჩართული რადიოებიდან „ქველი კეთილი რუსული ესტრადა“ თავისი დიმა ბილანებით და „ასტუდოეობით“ და როგორ ვთქვა ზუსტად... აი, არავითარი „ჯანსაღი სიძულვილი“ არ იგრძნობა მტრის მიმართ (ახლა, ალბათ, შემოვარდება კომენტარებში ვინმე „რომის პაპზე უფრო კათოლიკე“ და დამარცხებს – „გიყვარდეს მტერი შენო“, უფრო კორექტულად თუ გინდათ, არ არის ის „გაბრაზება“, რასაც ტელევიზორში ვხედავთ. არა, გაბრაზება არის, მაგრამ უფრო იმის გამო, რომ ავტობუსი ისევ ფასიანი გახდა, ხოლო „მარშუტკით“ მგზავრობა შუა ომის და უფულობის

დროს 50%-ით გააძვირეს (ისე აქ „მარშუტკაც“ ავტობუსია, მაგრამ ამაზე შემდეგში დავხსენებ); კიდევ იმის გამო, რომ დროებით შეჩერებულმა კომპანიებმა კომუნალური გადასახადები უკვე მოითხოვეს, რადგან სახელმწიფომ კომუნალურებზე უარი თქვა; კიდევ იმის გამო, რომ ჰუმანიტარული დახმარების სახით მოსული სურსათი მეტროების წინ ბაზრობებზე იყიდება უაქციზო სიგარეტებთან ერთად და ა.შ. და არა იმიტომ, რომ მტერი გენერალური შეტევისთვის და დაპყრობილ ოლქებში საფუძვლიანად ფეხის მოსაკვიდლად ემზადება...

**ომის პერიოდში სომ ყველაზე ხელსაყრელი დროა ყველა ჯურის კრიმინალისთვის და არანაშუალოდ მოიხატა თაღლითების მიერ საბანკო ბარათებიდან თანხების მოპარვის შემთხვევებმა – საბანკო იყო, მაგრამ ახლა მთელი უკრაინის ლამის დაიბრუნებინათ მოქალაქე...**

**...სამაგიეროდ, უკრაინას ევროკავშირის წევრობის სტატუსი მიანიჭეს (უფრო ზუსტად – აჩუქეს) და ამაშიც, რა ვინა – რომელი არ შეეძლო საბარათებში: დაახლოებით 30 აკაც ვკითხე აზრი და მიმიხსნა ოცს წარმოგვანა არ ჰქონდა, რა მოხდა. დახარჩენების (ორი ბანკისა და ორი სხვა ბანკის კაცის ბარდა) ყველას პოზიცია ერთნაირი იყო: გვატყვავს ევროპა - ჩვენი სიმდიდრეების მიტოვება და საპუტინარი კანონების თანა მთავარი უნდა იყოს. წარმოვიდგინე, ჩვენთვის რომ მოეცათ ეს სტატუსი (რასაც უკრაინასა და მოლოდინზე მიტანა კი არა, უკვირ იმ რომ არიან, იმთაგან ზომიერობა მიტანა მოხდაც ვინაა უკრაინა, რა რაბაცია ეძნებოდათ ჩვენს მოძალადეებს, და გული დაგვხდა...**

ზემოთ უაქციზო სიგარეტი ვახსენე და ნეტავ თუ იცის იმან, ვინც ევროკომისარს „სეფე-სიტყვა“ დაუნერა უკრაინის სტატუსის წარდგენაზე და ისიც ჩაუნერა – ქვეყანამ წარმატებას მიაღწია საბაჟო რეფორმებში, რომ დიდი პოეტისა არ იყოს, „ახლა როცა ამ სტრიქონს ვწერ“, ფანჯრიდან ვხედავ პირდაპირ მთავრობის პროსპექტზე (ეს „ტროფეინა“ – აქაური „გლდანი“, ყველაზე მრავალრიცხოვანი რაიონი), ტროტუარზე მდგარ ჯიხურს, სადაც უაქციზო სიგარეტი იყიდება. ვაზუსტებ: ჩუმად და დახლს ქვემოთ კი არა, ღიად და თავხედურად, ანუ იქ სხვა არაფერი იყიდება და პოლიცია აივლის, ჩაივლის, ხანდახან ჩერდება და... სიგარეტს ყიდულობს. თუმცა, ურსულა ფონ დერ ლაინი, ალბათ, სიბარბის არ ეძნება...



ლოგიკური ჯაჭვი მინდა დაგანახოთ, თუ საიდან იწყება ეს პროცესი, ამბობს ზაალ ანჯაფარიძე და მიმდინარე პროცესებს ასე განმარტავს:

— მეროპაპშირი მცირედით წახალისებს უკრაინასა და მოლდოვას და მათ წევრობის კანდიდატის სტატუსს მიანიჭებს, სა-მაგიეროდ, ეს „მცირედით წახალისება“ არ შეეხება საქართველოს, რომელიც რუსეთთან გამუდმებულ ომშია, მათ შორის, აფხაზეთის, ცხინვალის, აგვისტოს ომების ჩათვლით. რა გამოდის, არესტოვიჩის რეკომენდაცია რომ გაგვეზიარებინა და რუსეთთან ომი გაგვეჩაღებინა, მოგვემდინენ სტატუსს? ექნებ, ევროპა არ არის მზად, ყველა ფრონტზე გააღვიწიოს რუსეთი და ცდილობს, მაიმუბლური გადაწყვეტილებებიც შესთავაზოს საქართველოს ხარჯზე?

— თუკი საქართველო ომში ჩაერთვებოდა, კანდიდატის სტატუსს მოგვეცემდნენ თუ არა, ამის პროგნოზირება ნამდვილად რთულია, მაგრამ მე ვმსჯელობ იმ განცხადებებით, რომელიც მოვისმინე ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაინისგან, ვმსჯელობ იმ კომენტარებით თუ შენიშვნებით, რაც ადრე კეთდებოდა, რაც აისახა კიდევ ევროკომისიის განწყობაზე, რომ უკრაინას უფასებენ იმას, რომ დღეს ის იბრძვის. იგივეა ურსულა ფონ დერ ლაინის ფრაზა, რომ „უკრაინელები მზად არიან, მოკვდნენ ევროპისთვის“. ადრეც სხვა უფრო დაბალი რანგის პირებიც დაახლოებით ამასვე აცხადებდნენ, ანუ უკრაინისთვის წევრობის კანდიდატის სტატუსი არის ერთგვარი ავანსი, საჩუქარი იმ უბედურებისთვის, რაც ამ ქვეყანაში იწვევია. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტ მაკრონის განცხადება ვიხილეთ, უკრაინა ომში რომ არ ყოფილიყო ჩაბმული, კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებდა. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, თუკი საქართველოშიც ევროპა დაინახავდა იმ სურათს, რასაც ახლა ხედავს უკრაინაში — დანგრეულ ქალაქებს, დახოცილ ბავშვებს, სისხლს, გრევებს, შეიძლება, ბევრ რამეზე თვალს დაეხუჭა და ეთქვა, საქართველო იბრძვის, სისხლს ღვრის და კვდება ევროპისთვის, მაგრამ განა ეს იქნებოდა ის, რაც ჩვენს მოსახლეობას მოუხდებოდა, რომ მივღო კანდიდატის სტატუსის სანაცვლოდ და ჩვენი ქვეყანა გადაქცეულიყო ნაცარტუტად?! შეადარეთ ერთმანეთს უკრაინისა და საქართველოს მასშტაბები.

— სტატუსის არმონიჭება ნიშნავს გეოპოლიტიკურ კატასტროფას საქართველოსთვის? ზოგიერთს ამან ბერტოლტ ბრესტის „კავკასიური ცარცის წრე“ გაახსენა და ჩათვალა, რომ ევროპას არ უნდა დაეშვა ცარცის წრეში ჩაყენებული ბავშვის, ანუ საქართველოს გაგლეჯვა.

— გააჩნია, ვინ როგორ აღიქვამს. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, საქართველოს რიგითი სტატისტიკური მოქალაქისთვის არაფერი განსაკუთრებულად არ შეიცვლება არც დღეს, არც ხვალ, არც ზეგ, ჩვენი მოქალაქეები ევროპული პერსპექტივის მქონე ქვეყანაში დაიძინებენ და გაიღვიძებენ, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, მთელი თავიანთი პრობლემებით და ყოველდღიური საქმეებით. ეს არის უფრო პოლიტიკოსების და სა-

ზოგადოებრივად და პოლიტიკურად აქტიური ადამიანების წუხილის საგანი, რომლებიც თვლიან, რომ საქართველო ევროპასთან ერთად უნდა ყოფილიყო. როგორც გამოკითხვები გვეუბნებიან, თითქოს 80% ამის მომხრეა, თუმცა მე პირადად ამ ციფრში ეჭვი მეპარება. არ ვფიქრობ, რომ სტატუსის არმონიჭება გეოპოლიტიკური კატასტროფაა საქართველოსთვის. უბრალოდ, ამ ეტაპზე ევროპამ არ ჩათვალა საჭიროდ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭება. ამას ბევრი მიზეზი აქვს, არა მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური სტატუსი, როგორც ეს მაკრონმა თქვა, არამედ ის აღქმები, რაც

პოპულარული მატარებლით დადიოდა, ლამის ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყველა დედაქალაქი მოიარა, ლობივებდა, ამბობდა, ჩვენ ევროპა ვართო და ა.შ. ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა, როგორც მაკრონმა თქვა, როგორც ჩანს, საქართველო მაინც ევროპელთა მენტალურ რუკაში არ აღიქმება ევროპად. საქართველოს არ აქვს საერთო საზღვარი ევროპასთან, მაგალითად, პოლონეთიდან თავისუფლად შეგიძლიათ შეხვიდეთ უკრაინაში, რუმინეთიდან თავისუფლად შეხვიდეთ მოლდოვაში და პირიქით, საქართველოში თავისუფლად როგორ შემოხვალთ ევროპიდან?! პრინციპში, მაკრონმა ბევრის სათქმელი თქვა.

ნებს, მაგრამ არა ბალტიისპირეთს. მათი ინტეგრაციის პროცესი, რადგანაც ახლოს იყვნენ ევროპასთან, უფრო სწრაფად წარიმართა, ვიდრე ჩვენთან მიმართებით. პირადად მაქვს ასეთი პროგნოზი, რომ საუკეთესო ვარიანტში საქართველოს შეიძლება მისცენ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რათა ხალხმა თავი ევროპისგან გადადებულად არ იგრძნოს, მაგრამ ამ კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ ეს პროცესი გაინელოს და ჩვენ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ვერ მივიღოთ ევროპა და დაგრჩეთ ასე ბუფერულ ზონად კანდიდატის სტატუსით ევროპასა და რუსეთს შორის.

— ცოტა განუხორციელებელი ხომ არ არის ევროკომისიის ჩამონათვალი — დაასრულეთ პოლარიზაცია, მიაღწიეთ დეოლიგარქიზაცია? ამ ოპოზიციის გადაწყვეტილება? პოლარიზაცია რანაირად დასრულდება? ან დეოლიგარქიზაცია მიიღწევა სააკაშვილ-კეზერაშვილის ხელში, რომლებსაც, როგორც ამბობენ, არანაკლები ფინანსები აქვთ? ცხადია, ახლა გეოგრაფიულ მდებარეობას ვერ შევიცვლით.

— მართლაც საინტერესოა, თუ როგორ უნდა მოიქცეს საქართველო. ვისმენტ ოპოზიციის წევრების, სხვადასხვა ლიდერთა, რადიკალურის, ნაკლებად რადიკალურის განცხადებებს. ყველა ერთხმად ლაპარაკობს, მალე დაამთავრონ ეს ხელისუფლება და, პლუს ამას, საქართველო გაათავისუფლონ ოლიგარქისგან. რას ნიშნავს ოლიგარქისგან გაათავისუფლება? ივანიშვილი უნდა გააგდონ საქართველოდან? როგორ წარმოუდგენიათ ეს პროცესი? როგორც მოლდოველი ოლიგარქი ვლადიმერ პლახოტნიუკი გაიტყა მოლდოვიდან, ისე უნდა გაუხადონ საქმე? გასაგებია, ეს ასე არ მოხდება, საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი ამას არ შეეგუება, მაგრამ ქვეყანა შეიძლება ჩაიძიროს სამოქალაქო დაპირისპირების მორევიში. თუ ევროკავშირს უნდა, ასეთი სცენარი ნახოს საქართველოში, მაშინ ამაში მისი დიდი წვლილი იქნება. მინდა, ლოგიკური ჯაჭვი დაგანახოთ, თუ საიდან იწყება ეს პროცესი. ორი ევროპარლამენტარი, კუბილიუსი და იუკენვიჩი, უკრაინის საქართველოს მოსახლეობას წერილს, რომლითაც პირდაპირ ეუბნება, უნდა აირჩიოთ, ან საქართველოს ხელისუფლება და ივანიშვილი, ან ევროპა. ეს პირდაპირი მოწოდებაა, ქუჩაში გამოდიეთ და დაამხეთ ეს ხელისუფლება. ამის შემდეგ ევროპარლამენტი იღებს ყბადაღებულ რეზოლუციას, რომელიც გაჟღერებულია იმავე პათოსით, რომლითაც ერთმანეთთან აპირისპირებენ საქართველოს მოსახლეობასა და მოსახლეობის უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას, ანუ რეზოლუციაშიც საუბარია, თითქოს ივანიშვილი საქართველოს მუხრუჭია ევროინტეგრაციის გზაზე. მესამე დამასრულებელი ეტაპი კი არის ევროკომისიის შესაბამისი რეკომენდაცია. ამ ყველაფერში ლოგიკური კავშირი იგრძნობა.

ესაუბრა მანანა ნოზაძე

# უკრაინა მზადაა, მოკვდეს ევროპისთვის!..



მათ უყალიბდებოდათ ბოლო თვეებისა და წლების განმავლობაში ოპოზიციის, მათთან აფილირებული ნჯოების, მედიასაშუალებების მხრიდან.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ დელეგაცია დელეგაციებზე ჩადიოდა ბრიუსელში, ვაშინგტონში, ფეისბუქშიც დებდნენ გულახდილ კომენტარებს, ამას შეეხვდით, იმას შეეხვდით, ერთი და იგივე მესიჯი გვესმოდა: საქართველოში ყველაფერი ჩამოშლილია, დემოკრატია საფრთხეშია. როცა ასეთი აღქმებია, როცა ხდება ერთგვარი ინდოქტრინაცია, როცა დედაც ადამიანს ხშირ-ხშირად უმეორებ რალაცას, ის მერე ამის დაჯერებას იწყებს. რამდენიც არ უნდა გვარწმუნოს ხელისუფლებამ, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ სადღაც დააკლო ხელი ევროსტრუქტურებთან მუშაობას. მაგალითად, მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკო

— დაახლოებით ეს იგივეა, თავის დროზე ბალტიისპირეთის მოსახლეობა საკუთარ ხალხად რომ მიაჩნდა ევროპას, განსაკუთრებით, გერმანია და ენმარა ბალტიისპირელებს რუსეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვებაში. როგორც ჩანს, ასეთი პროცესები მიმდინარეობს ახლაც საქართველოსთან მიმართებით და ესმარებიან არა საქართველოს, არამედ უკრაინასა და მოლდოვას.

— კი ბატონო, ბალტიისპირეთში როცა დაიწყო დამოუკიდებლობის მოძრაობა, მასხოვს, 1990 წელს მოსკოვში გახლდით, იმ პერიოდში დიდი ფორუმში მოეწყო რიგაში და პირდაპირ უთხრეს რუსებს, უფრო სწორად, საბჭოელ დიპლომატებს, ბალტიისპირელ ხალხს არასდროს აღვიქვამდით საბჭოთა კავშირის ნაწილად. ანუ საბჭოთა კავშირის ნაწილად აღიქვამდნენ უკრაინას, საქართველოს, ამიერკავკასიის და სხვა ქვეყ-

## ჩვენი უმსხვილესი საგარეო პარტნიორები თურქეთი, ჩინეთი და რუსეთი არიან

2022 წლის იანვარ-მაისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 6 933.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 37.4 პროცენტით მეტია. წინასწარი მონაცემები „საქსტატმა“ გაავრცელა. აქედან ექსპორტი 2 112.1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (37.5 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 4 821.5 მლნ. აშშ დოლარს (37.3 პროცენტით მეტია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წლის იანვარ-მაისში, 2 709.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.1 პროცენტია.

2022 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი საქსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 79.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საქსპორტო სამეურლო შემდეგაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (362.8 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (224.1 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (210.3 მლნ. აშშ დოლარი). 2022 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი საქსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 66.1 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეურლო შედგენილებში: თურქეთი (830.0 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (553.9 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (420.3 მლნ. აშშ დოლარი).

2022 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.6 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 024.7 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (783.1 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (764.2 მლნ. აშშ დოლარი).

2022 წლის იანვარ-მაისში სასაქონლო უგუფებიდან საქსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავეს 465.9 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 22.1 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ფეროშენადნობები 285.7 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 13.5 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 191.0 მლნ. აშშ დოლარით (9.0 პროცენტი). უმსხვილესი საქსაქონლო უგუფები 2022 წლის

იანვარ-მაისში წარმოდგენილი იყო ნავთობი და ნავთობპროდუქტების სახით, რომლის იმპორტმა 461.2 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9.6 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს მსუბუქი ავტომობილები იკავებდა 454.7 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 9.4 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 371.8 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.7 პროცენტი).





# რისხვა - არსაით!

**(მეორე პერიოდი)** ჩვენი მოთხოვნების შეუსრულებლობა განაპირობებს მასობრივ დაუმორჩილებლობას. ფეხზე დადგება საქართველოს ყველა რეგიონი და ქალაქი, რათა არაძალადობრივი წინააღმდეგობის ტალღამ წაღვოს ყველა, ვინც ჩვენ ქვეყანას შინ, ევროპისკენ მიმავალ გზაზე გადაელობება, - წერია მანიფესტში.

აქციის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე კი რუსთაველზე მისულებს წერილით, პატიმარმა ექს-პრეზიდენტმა მიმართა. მისი მიზანმიმართული აქციის მონაწილეებსა და საკუთარი პარტიის წევრებს საპროტესტო აქციების გაგრძელებას, ტექნიკური მთავრობის შექმნასა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნისკენ მოუწოდებს.

დენ, მათ ხალხიც შემოეცლებოდათ. ამიტომაც 24 ივნისი საკრალური რიტუალია, რომ ხალხი ისევ მოიყვანონ. მეექვსეა, რომ ხალხი კვლავ გამოვიდეს, როცა, უნდათ თუ არა, წინა პლანზე პოლიტიკოსები გამოვლენ, - ასკვნის ანჯაფარიძე.

ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე კი მიიჩნევს, რომ როდესაც სწორად გეგმავ აქციას და ხალხს გასაგებად ეუბნები რის გამო გამოვიდნენ ქუჩაში, ხალხი გამოდის. ხოლო როცა საქმეში უკვე პოლიტიკოსები ერთვებიან, ხალხი მისგან დისტანცირებას ახდენს. ძაბირაძე მიიჩნევს, რომ 24 ივნისს დაანონსებული აქცია, სადაც, დიდი ალბათობით, საქმეში უკვე პოლიტიკური აქტორები ჩაერთვებიან, ოპოზიციისთვის ისევე კრახი იქნება. ამის მიზეზად კი ის იმ ფაქტორს ასახელებს, რომ ხალხი პერმანენტული აქციებისთვის და საპროტესტო მუხტისთვის მზად არ არის. თუმცა ხელი-სუფლების მიმართ 20 ივნისს გაგზავნილი სიგნალი, სადაც არც თუ ცოტა ხალხი მივიდა, საყურადღებოა.

ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე ამბობს, რომ დიდი ალბათობით, 24 ივნისს ეს აქცია პოლიტიკურ სახეს მიიღებს, რადგანაც შარლ მიშელის განცხადებით უკვე განწყვეტილია, რომ მოლდოვას და უკრაინას კანდიდატი ქვეყნის სტატუსს აძლევს, ხოლო საქართველოს ჯერჯერობით ისევ რეკომენდაციების შესრულებასკენ მოუწოდებენ. ამიტომაც თუკი რაღაც პატარა იმედი მაინც არსებობდა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება შეიცვლებოდა, ესეც გაქრა. შესაბამისად, ოპოზიციას ხელთ კარგი კოზირი ეძლევა, რათა 20 ივნისს სამოქალაქო აქცია პოლიტიკურში გადაზარდონ.

„20 ივნისს აქციაზე მისულმა ხალხმა, როგორც ვერობას, ასევე ჩვენს ხელისუფლებას მნიშვნელოვანი გზავნილი გაუგზავნა. ქართველ ხალხს ვერობა არა მხოლოდ გამოკითხვის დროს სურს, არამედ თუკი საჭირო განადგობა, მისთვის ქუჩაშიც გამოვა. ეს ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი და ვფიქრობ, საყურადღებო მესიჯია. შესაძლოა იქ ყველა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი არ იყო და ის არ იმყოფებოდა საპროტესტო აქციაზე, მაგრამ იქ მისული ხალხი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილება ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. ანუ მის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ რაღაც სწორად ვერ გააკეთა. ეს კი სახიფათოა, რადგანაც, თუკი მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ქვეყნის მოსახლეობის 80%-ს სურს, ისინი გარეთ გამოვლენ.“

„რთული გამოსაცნობი არაა, რომ 24 ივნისს აქციას ოპოზიცია უხელმძღვანელებს და იქ პოლიტიკური მოთხოვნებიც გაუღრმდება. ვნახეთ უკვე სააკაშვილის მოთხოვნები ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ, ასევე ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბების და პერმანენტული აქციების გამართვა. თუმცა აქ მეორე კითხვა ჩნდება - რას უშვებენ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს ყოველ შემთხვევაში, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ უნდათ „ოცნება“ საერთოდ პოლიტიკური ველიდან გაიყვანონ. იმედოვნებენ, რომ თუკი ბიძინა ივანიშვილს სანქციებს დაადებენ, მისი ნეიტრალიზება მოხდება, ეს ავტომატურად „ოცნების“ როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის დაშლას გამოიწვევს, როგორც ეს მაგალითად „მოქალაქეთა კავშირის“ შემთხვევაში მოხდა. უბრალოდ, მათ განცხადებებში მკაფიო გეგმა ვერ ამოვიკითხე დეოლიგარქიზაციას როგორ ამოიშენებ, რანაირად უნდა მოხდეს ეს, რადგან ივანიშვილი პოლიტიკაში არ არის? სამართლებრივად დამტკიცება უნდა მოხდეს, ივანიშვილი თავის რესურსებს სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვაზე როგორ იყენებს ზეგავლენის მიზნით. დეოლიგარქიის პროცესი როგორ წარმოუდგენიათ, ვერ გავიგე“, - ამბობს ანჯაფარიძე.

თუმცა, ოპოზიცია თუ ისევ შეცდომას არ დაუშვებს, რეალური შედეგი ამ აქციამ შესაძლოა იგივე ოპოზიციის მოუტანოს. იმის თქმა, რომ 24 ივნისს თუ სტატუსს არ მოგვცემენ პერმანენტული აქციების დავიწყებთო, არასწორია. ფაქტია, რომ არ მოგვცემენ. ახლა სასწაულს არავინ უნდა ველოდოდ. თუ პერმანენტული აქციების დაიწყებენ და ამის პოლიტიკური მდგენელი ექნება და ვფიქრობ ასევე იქნება, - სააკაშვილის განცხადება უკვე ვნახეთ, სადაც რიგგარეშე არჩევნებს და აქციებს თხოვს, - ეს იმას ნიშნავს, რომ ეს აქციები რამდენიმე დღე იქნება, მაგრამ შემდეგ ისე დასრულდება, როგორც ეს ადრე დასრულდა. ამიტომ, სწორად არ მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე პერმანენტული აქციები ჩატარდეს. დღეს ამას ოპოზიცია ვერ შეძლებს, ამისთვის არც ოპოზიცია და არც ხალხი მზად არ არის. ასეთ ერთჯერად არაპოლიტიკურ აქციაზე ხალხი მივა, მაგრამ პოლიტიკურ აქციაზე, სადაც ხელისუფლების ცვლილებას მოითხოვენ, რიგგარეშე არჩევნებს და ა.შ. ხალხი არ მივა. ამის მიზეზი კი მარტივია, ხალხი ვერ იჯერებს, რომ ოპოზიცია „ოცნებაზე“ უკეთესი იქნება. ამის გამოცდილება უკვე აქვთ, ამიტომ ეს შიში ისევე არსებობს და ოპოზიციამ უნდა იფრთხილოს“, - აცხადებს ძაბირაძე.

„აქციის მონაწილეებს ყოთ გონიერება და მისი რადიკალიზება არ დაინყეს. აქცია შედარებით მშვიდობიანად დაამთავრეს. არადა გვახსოვს პოლიტიკოსებისგან და ვითომ ნეიტრალური ანალიტიკოსებისგან რა სახის განცხადებებიც კეთდებოდა. ისინი მოუწოდებდნენ, რომ აქცია არ დასრულდეს, თუმცა მას პერმანენტული სახე მიეღო. თუმცა მიხვდნენ, რომ თუკი აქციას რადიკალიზაციის მიმართულებით წაიყვან-

## უნებრთი ევროკავშირის რამდენიმე სხვა წევრ სახელმწიფოსთან ერთად მიიჩნევენ, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი უნდა მიენიჭოს, - ინფორმაციას ამის შესახებ უნგრეთის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. უნგრეთის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიქტორ ორბანმა ვიდეოკონფერენციის რეჟიმში შეხვედრა გამართა ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, შარლ მიშელთან და ბელგიის, ბულგარეთის, ესტონიის, მალტისა და ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრებთან.



უნგრეთის პრემიერი დაეთანხმა უკრაინისა და მოლდოვასთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. შეხვედრაზე ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ უნგრეთი ევროკავშირის რამდენიმე სხვა წევრ სახელმწიფოსთან ერთად მიიჩნევს, რომ საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინასაც უნდა მიენიჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსი.

## ირაკლი კობახიძე: ოპოზიცია პირველივე ნუთუბიდან არღვევს პოლარიზაციის შესახებ ევროკომისიის მოწოდებას.

ევროკომისიის დოკუმენტში პირველ პუნქტად წერია, რომ უნდა შემცირდეს პოლარიზაცია, თუმცა ყველა ვხედავთ, რა ვითარებაა საქართველოში. ოპოზიცია ამ დოკუმენტის გამოქვეყნებიდან პირველივე ნუთუბიდან არღვევდა ამ პუნქტს და დღემდე არღვევს პოლარიზაციის შესახებ ევროკომისიის მოწოდებას.

მისი თქმით, ოპოზიციას არ სურს, გაითვალისწინოს ევროპელი ლიდერების მოწოდებები.

„სამ საკითხს მინდა შევეხო. პირველ რიგში ეს არის პოლარიზაცია. როგორც მოგესხენებათ, ევროკომისიის დოკუმენტში პირველ პუნქტად წერია, რომ უნდა შემცირდეს პოლარიზაცია, თუმცა ყველა ვხედავთ, რა ვითარებაა საქართველოში. ოპოზიცია ამ დოკუმენტის გამოქვეყნებიდან პირველივე ნუთუბიდან არღვევდა ამ პუნქტს და დღემდე არღვევს პოლარიზაციის შესახებ ევროკომისიის მოწოდებას. ნახეთ რიტორიკა გასული ოთხი დღის განმავლობაში, შესაბამისად, ერთადერთი პუნქტის შესრულება ევალება ოპოზიციას და ხედავთ, რომ იმასაც არ ასრულებს. ეს არის მათი დამოკიდებულება ევროპისადმი, ეს არის მათი დამოკიდებულება ღირებულებებისადმი და აქედან ჩანს, რომ სინამდვილეში მათ ევროპა საერთოდ არ უნდათ, მათ უნდათ საპირისპირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი ნაბიჯს მაინც გადადგამდნენ დეპოლარიზაციის მიმართულებით. იმისათვის, რომ პოლარიზაცია შემცირდეს ქვეყანაში, საჭიროა სულ მცირე ლექსიკონიდან ამოიღოთ ისეთი სიტყვები, როგორც არის პრორუსული ხელისუფლება, პუტინისტური ხელისუფლება, ლექსიკონიდან ამოიღოთ გადატრიალება, რიგგარეშე და ასე შემდეგ, მაგრამ არა ვერ ახერხებთ, ვერ ახერხებთ გამომდინარე იქიდან, რომ თქვენი გზა არის არა ევროპული, არამედ თქვენი გზა არის მთლიანად სხვა მიმართულებით“, - განაცხადა კობახიძე.



## თბილისში: 20 ივნისს აქციებზე მისული ადამიანების ნაწილს გარკვეული იმედგაცრუება ხვდათ წილად, რადგან ისინი არ მისულან იქ იმიტომ, რომ მოესმინათ გადატრიალების შესახებ გეგმები, რადგან ისინი არ მისულან იქ რეგულაციის მოთხოვნით, - ამის შესახებ კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

„აქცია, რა თქმა უნდა, არ მოიცავს მხოლოდ იმ ადამიანებს, ვისაც მთავრობის ჩამოგდება სურთ. იქ იყვნენ ადამიანები, ვინც მართლა გულწრფელად ილტვის და მოისწრაფვის იქითკენ, რისკენაც მივისწრაფვით ჩვენ ყველანი და ქართული სახელმწიფო ეს განსაკუთრებული სახელმწიფოა და გაერთიანება. ამ ადამიანებიდან არაერთისთვის, მე და თქვენ ვიცით, რომ იყო გარკვეული იმედგაცრუება, რადგან ისინი არ მისულან იქ იმიტომ, რომ მოესმინათ გეგმები გადატრიალების შესახებ და ისინი არ იყვნენ მოცული იმ მიზნით, რომ აქციაზე მისულიყვნენ რეგულაციის მოთხოვნით.“



ტაძეშვილი მთავრობის შემდგომი არაპოლიტიკური საჭიროება ჩვენს ძვირფასო ბრძოლაში, - ამის შესახებ კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომ საჭიროა შეიქმნას ტექნიკური მთავრობა, რომელიც ქართველი ერის გამომატველ არჩევნებს ევროკავშირის კონტროლის ქვეშ ჩაატარებს.

„ამგვარი ტიპის მოწოდებას აქვს ერთადერთი მიზანი, რომ როგორმე გამოიწვიოს დესტაბილიზაცია ქვეყანაში. ამ ქვეყანაში დესტაბილიზაცია უკვე მეთავე წელია ვერ ხდება და ალბათ იმისთვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ ევროპულ გზაზე წარმატებული სვლა გააგრძელოს, აუცილებელია ოპოზიცია დასერიოზულდეს“, - განაცხადა წულუკიანმა.





# გვარის ერთიანობის სასიკეთო ნაბიჯები



**საძრამელო მდიდარია სახელოვანი გვარიშვილებით, რომლებმაც შესანიშნავად იციან თავიანთი საგვარეულო ისტორია, ფუძე და ადგილის დედა, ჯვარ-ხატი და სალოცავი, წინაპართა სამაროვანი, მამა-პაპათა საფლავი, საძვალე, ეს სინამდევები ქართველთა სარწმუნოების მარადიული ნიშანსვეტია და ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და თვითშეგნების ბალავარია. სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ქართველი, რელიგიური და პოლიტიკური მრწამსის მიხედვად, ქვეყნობიერად ის მაინც თავისი მამაპაპური კუთხის მოსიყვარულე და თავისი მამის მცემელია. მისი დამოკიდებულება ფუძის ანგელოზისადმი და წინაპართა საფლავებისადმი უსაზღვრო სიყვარულში და პატივისცემაში გამოიხატება. ეს სიყვარული დედის რძესავით თითოეული ქართველის მესიერებასა და რწმენაშია გამჯდარი. სწორედ ასეთი ერთგული, თავისუფალი და გვარის მოსიყვარულეები არიან არც თუ ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ ერთი მიზნით და სასიკეთო საქმეების კეთებით გულანთებული კვირკველების გვარის წარმომადგენლები, რომლებიც მონოლითური ერთიანობის და ერთსულოვნების მაგალითს წარმოადგენენ.**

— როგორც ცნობილია საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ქართულ გვარებს არ აკლებს ღოცვა-კურთხევას. თქვენი გვარი როდის დაილოცა?

— 2012 წლის 28 ოქტომბერს კვირკველების გვარი სამების საკათედრო ტაძარში იკურთხა ჩვენი პატრიარქის ილია მეორის მიერ. საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავდა საგვარეულო დარბაზის წესდება, დაინერგა საგვარეულო ხატი, რომელმაც მოიარა კვირკველების თითქმის ყველა ოჯახი.

ჩვენი გვარის წარმომადგენლები საქართველოს მრავალ მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ, (ჩხორონწყუ, ზუგდიდი, აბაშა, სენაკი, ფოთი, ოზურგეთი, ბათუმი, ქუთაისი, თბილისი და სხვაგანაც).

2012-2014 წლებში კვირკველების ხატი თბილისის ეკლესიაში დაბრძანდებოდა. საგვარეულო ხატი ამჟამად ქუთაისში, კვირკველების ოჯახებშია დაბრძანებული.

სანამ საგვარეულო დარბაზს შევქმნიდით, მანამ კრებები და ყრილობები ჩავატარეთ ლანჩხუთში, ჩხორონწყუში, ბათუმში და სხვაგანაც. საერთო კრებებზე არჩეული ადამიანები შევიყვანეთ გამგეობის წევრებად, რამაც ნამდვილად აამაღლა არჩეულ პირთა პასუხისმგებლობა და კისრებული მოვალეობებისადმი.

საგვარეულო დარბაზის გამგეობის გადანიშნულებით, არაერთი საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიება გაიმართა. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ზოგიერთის აღნიშვნა მაინც საგულისხმოა. ჩხორონწყუს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში 25 ძირი ძვირადღირებული კვიპაროსის ნერგი დავრგეთ, სენაკის, სოფელ თეკლათის წმინდა ბარბარეს ეკლესიის ეზოში მაგნოლიის ხეები, ხოლო სენაკში სხვა გვარებთან ერთად დაირგო სხვადასხვა ყვავილოვანი ნერგები. თბილისში, მახათას მთაზე აშენებული მონასტრის ტერიტორიაზე 36 ძირი კვიპაროსის ნერგი დავრგეთ. ბათუმში უნივერსიტეტის ტერიტორია მაგნოლიის ნერგებით დავამშვენეთ.

კვირკველების საგვარეულო დარბაზის ინიციატივით 1919 წელს გვარის შემომწირველების ხელშეწყობით და ქალაქ ბათუმის საკრებულოს აქტიური დახმარებით, ბათუმის ცენტრალურ პარკში დაიდგა კვირკველების სახელოვანი გვარიშვილის, პოეტ ტერენტი გრანელის ბიუსტი, რომლის ავტორია ბათუმის ხელოვნების ინსტი-

ტუტის პროფესორი ნოდარ კვირკველია, ბიუსტის კვარცხლბეკი საჩუქრად გადმოგვცა რომან კვირკველიამ.

ბიუსტის საზეიმოდ გახსნას ესწრებოდნენ ფალავანდიშვილების, გაბაიძეების, ბოლქვაძეების, სურმანიძეების, აბულაძეების, თავდგირიძეების, ნიუგაძეების საგვარეულო დარბაზის წინამძღოლები.

2021 წლის ივლისში ბათუმში კვირკველების საგვარეულო დარბაზმა აჭარის მამულიშვილთა კავშირთან ერთობლივად აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლობჯანი თეიმურაზ კვირკველიას დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით გამართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა (სენაკის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქობულეთის, ხულოს, შუახევის, ქედას და სხვა მუნიციპალიტეტების) 12 მუსიკალური ქორეოგრაფიული ანსამბლი და ამოვალერცხვოვან მაყურებელთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

მიმდინარე წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საგვარეულო კავშირმა წაღწევი ხაზით ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმს გადასცა სახელოვანი პოეტის ბიუსტი, იმავე დღეს აღინიშნა სოფელ ლიაში მოღვაწე დეკანოზ მოსე კვირკველიას ხსოვნის საღამო, გვარის ღირსეულმა მამულიშვილმა, XIX საუკუნის ბოლოს საკუთარი დანაზოგით შეიძინა მინის ნაკვეთი პატარა სახლით, 15 მერხი და უანგაროდ ასწავლიდა გლეხის შვილებს. კვირკველების გვარმა ჩვენს სასიქადულო წინაპარს სიკეთე და სახელი დავინყვებას არ მისცა. მის სახელზე ლიაში დაიდგმება ბარელიეფი, რომელსაც მხატვარი რომან კვირკველია დაგვიზადებს და საჩუქრად გადმოგვცემს.

მეტად დიდ საშვილიშვილო საქმეს აკეთებს სენაკში მცხოვრები ჩვენი გვარიშვილი კახა კვირკველია, რომელიც აქტიურად იბრძვის კოლხური ჯიშის ხორბლის გადარჩენისათვის. მის მიერ მოწეული ხორბლის მოსავლისგან გამომცხვარი პური თეკლათის ეკლესიაში მრევლმა უფასოდ უკვე დააგემოვნა და დიდი მონონებაც დაიმსახურა.

ახლა კვირიკობის დღესასწაულისათვის ვეშაბდებით, რომელიც 28 ივლისს აღინიშნება, ამ დღესთან დაკავშირებით გამართება ტერენტი გრანელის პოეზიის საღამო, რომელშიც ძირითადად კვირკველების გვარის ახალგაზრდობა მიიღებს მონაწილეობას. სამომავლოდ გეგმაში სხვა საინტერესო ღონისძიებებიც გვაქვს დაგეგმილი. რომ ჩამოვყალიბდებით და ღონისძიებებს მოვამზადებთ, აუცილებლად დაგაბატიყვებთ, მეგრული თავაზიანობით მიიხრბა ბატონმა ვიქტორმა.

ბუნებრივად იბადება კითხვა, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები, ნერგების შექმნა, შეხვედრები და სხვა წვრილმან-მსხვილმანი ფინანსური ხარჯებს მოითხოვს, ვინ გაფინანსებთ, ვინა თქვენი სპონსორი? კითხვა ბოლომდე დამთავრებული არ მქონდა, რომ ბატონმა ვიქტორმა ომხიანად მიიხრბა, გვარის საფინანსო ანგარიში ბანკში გახსნილია, ჩვენ მიერ გაჟღერებულ ყოველ ღონისძიებას კვირკველებს მოსაწვევი ბარათებით ვამცნობთ, ტელეფონით ვუკავშირდებით, გვარის შემომწირველები დაფინანსებას არ გვაშაბდიან. ღონისძიებების ჩატარების შემდეგ დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სათანადო დოკუმენტაციას.

**მინაწერი: საქართველოში ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა. საგვარეულო კავშირები იმიტომ გვეჭირდება, რომ ქართულ მინაზე ქართველი მარადიულად უნდა მრავლდებოდეს. მწამს, უქართველებოდ კაცობრიობა გაღარიბდება და ცხოვრება აზრს დაკარგავს, მაგრამ ვიდრე ამ მისიას დედამინის მესვეურნი შიგნობენ, ჩვენ უნდა ვუშველოთ საკუთარ თავს. გვარების კეთილშობილებას რომ ვაღიარებთ, ეს მისასაღებელია და თითოეული გვარს და მის გაკეთებულ საერთო საქმეებს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.**

**ვალერიან ლომიძე,**  
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.



კვირკველიათა 3-ათასკაციანი გვარის სასახელო საქმეებზე კარგად იციან სამეგრელოს, აჭარის, გურუის და საქართველოს სხვა კუთხეების გვარიშვილებმა.

ბედნიერება მქონდა შეხვედროდი და გამეცნო კვირკველების გვარიშვილთა თავკაცი, თხემით ტერენტი ღირსეული მამულიშვილი ვიქტორ კვირკველია. ეს 60 წელს გადაცილებული ვაჟკაცი მართლაც რომ გულანთებული პიროვნებაა, მუდამ ახლის ძიებაშია, რომელსაც შესწევს ძალა, უნარი და შემართება, დარაზმოს გვარიშვილები სასიკეთო საქმეების საკეთებლად.

ბატონი ვიქტორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანეთში (ქაქუთში) დაინაბდა. განათლებით ავტონომიურია, ამჟამად ავტოსკოლის დირექტორია და აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის გამგეობის წევრია. მეუღლე ქალბატონი მერი ბერიძე, მათემატიკოსია, უფროსი ვაჟი — შალვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო ქალიშვილი ნათია — ბერძნული ენის სპეციალისტია. ბატონი ვიქტორი ტრადიციულ ქართულ ოჯახშია აღზრდილი და ახლა მისი ოჯახი აგრძელებს ხუთი შვილიშვილის ღირსეულ მამულიშვილებად დაფრთხიანებას.

— მართალია სხვა ქართული გვარების მსგავსად მრავალრიცხოვნობით თავს ვერ მოვიწონებთ, მაგრამ კვირკველებს სასიკეთო საქმეების წარმოსაჩენად მართლაც ბევრი რამ გვაქვს სათქმელი.

სხვათაშორის, კვირკველები ყოველთვის ვიკრიბებოდით, ვმსჯელობდით, ვეფერებოდით ერთმანეთს, ვსწავლობდით გვარის ისტორიას, რომლებსაც საუკუნეების წინათ ჩაეყარა საფუძველი და დღემდე ღირსებით სავსენი მოვედით. გვარში მრავალი გამოჩენილი პიროვნება გვყავს და ყოველმხრივ ვცდილობთ, ახალგაზრდობა აღვზარდოთ გვარის ღირსეულ ტრადიციებზე, ეროვნული ფასეულობების, პატივისცემის, მართლმადიდებლობის და დედაეკლესიის უსაზღვრო სიყვარულით ამ მიზნითაა განმსჭვალული გვარის შვიკრებები. კვირკველები ჯერ კიდევ 1985 წელს შევიკრიბეთ ქაქუთში, მომდევნო წელს სენაკში შეხვედით სახლიკაცები, ხოლო 1987 წელს ჩხორონწყუში გვეკონდა შეკრება, — სიამაყით ამბობს ვიქტორი.

## „შრომითი მედიაცია „ბორჯომი საქართველოს“ მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის შეთანხმებით დასრულდა“

**ოპოზიციური ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცნობით, შრომითი მედიაცია „ბორჯომი საქართველოს“ მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის შეთანხმებით დასრულდა.**

„შრომითი მედიაცია „IDS ბორჯომი საქართველოს“ მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის შეთანხმებით დასრულდა. წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად, დასაქმებულები ქარხანაში მუშაობას განაგრძობენ და „IDS ბორჯომი საქართვე-

ლო“ სრულფასოვნად ფუნქციონირებას უახლოეს პერიოდში აღადგენს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიაშვილის გადანიშნულებით, მოლაპარაკებების პროცესში პირადად ჩაერთო მისი წარმომადგენელი, საქართველოს მთავრობის რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი. როგორც პრემიერმა განაცხადა „IDS ბორჯომი საქართველოში“ დასაქმებული თითოეული თანამშრომლის უფლების დაცვა უზრუნველყოფილი იქნება“, — აცხადებენ სამინისტროში.





**რამდენიმე დღის წინ, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა იაირ ლაპიდმა საგანგებო ბრიფინგი გამართა. მან თავის მოქალაქეებს, უსაფრთხოების სერიოზულ პრობლემათა არსებობის გამო, თურქეთში დაგეგმილი ყველა მოგზაურობის გაუქმებისკენ მოუწოდა. თუ დაგეგმილი გაქვთ ფრენა სტამბულში, გააუქმეთ. თუ უკვე სტამბულში ხართ, რაც შეიძლება, მალე დაბრუნდით ისრაელში, რადგან, არავითარი შევებულება არ ღირს თქვენი და თქვენი საყვარელი ადამიანების სიცოცხლის ფასად, განაცხადა ლაპიდმა.**

მინისტრის თქმით, ისრაელისა და თურქეთის დაზვერვის სამსახურებმა, ერთობლივი ძალისხმევით, უკვე რამდენიმე მოსალოდნელი ტერაქტი უგნებულყვეს. ტერორისტები მიზანმიმართულად ირჩევენ ისრაელის მოქალაქეებს გასატაცებლად ან მოსაკლავად, რაც, შეიძლება, ნებისმიერ უდანაშაულო ადამიანს დაემართოს ნებისმიერ დროს. საფრთხე რეალურია, აღნიშნა მინისტრმა. მან თურქეთის მთავრობას, ისრაელის ტურისტების დასაცავად განეული ძალისხმევისთვის, მადლობა გადაუხადა. ამ ორი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურები ისრაელის მოქალაქეების სიცოცხლის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებდნენ, რაც მათ ხელშია.

ზოგი ადამიანი ისე ბრუნდება ხოლმე სამშობლოში, ვერც კი იცებს, რაიმე საფრთხე თუ ელოდა, თქვა ლაპიდმა, რომლის აზრით, ტერორისტების უკან ირანის მთავრობა დგას. მიიხსნა, ვუთხრა ირანის ხელისუფლებას, რომ, ვინც ისრაელის მოქალაქეს ზიანს მიაყენებს, შურისძიებას ვერ გადაურჩება. ისრაელს საკმაოდ გრძელი ხელები აქვს, და სადაც არ უნდა დაიბალოს, ჩვენ მას გავანადგურებთო. აი, ასეთი სიტყვებით დაემუქრა ირანს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის ბრალდებები და მუქარა ირანის ხელისუფლების მიმართ არავის არ გაკვირებია. ირანი და ისრაელი, უკვე კარგა ხანია, სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ერთმანეთთან ფარულ ომს აწარმოებენ. უკრაინასთან ომის გამო, რუსეთს იმდენად აღარ სცალია სირიისთვის. ამიტომ, აქ ირანის სამხედრო ძალებმა მძლავრად მოიკიდა ფეხი. ირანის მთავრობა სირიას, დიდი ხანია, რაც იარაღს აწვდის.

ახლა კი, უშუალოდ ჩაერთო ამ კონფლიქტში, რაც ისრაელისთვის სრულიად მიუღებელია. ისრაელმა რუსეთი უკვე გააფრთხილა, რომ ყველა ზომას მიიღებს ამ საფრთხეების გასაწვდომად. და აი, რამდენიმე კვირის წინ, ისრაელმა დამასკოს შემოგარენი დაბომბა, სადაც, ისრაელის მთავრობის თქმით, ირანის შეიარაღებული ძალების საიდუმლო ბაზები იყო განლაგებული. ისრაელი სხვა მიმართულებითაც აქტიურობს. მას აღარ აქვს იმედი, რომ ირანს ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობას გადაათქმევენ. ამიტომ, ისრაელის დაზვერვა ამ პროექტის წინააღმდეგ საბოტაჟს მიმართავს.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე, ირანში, ბირთვულ იარაღზე მომუშავე ფიზიკოსებზე და უშიშროების თანამშრომლებზე თავდასხმები ხორციელდება, რაც ხშირად, ფატალურად მთავრდება ხოლმე. ბოლო მკვლელობა ამ რამდენიმე კვირის წინ მოხდა. 22 მაისს, თეირანში, დღისით, მზისით, ირანის ბირთვული პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უშიშროების პოლკოვნიკი, ხოდაირი მოკლეს. ეს თანამედროვეობის ერთ ერთი ყველაზე გახმაურებული და ირანის მთავრობისთვის უმტკივნეულები ინციდენტი გახლდათ.

იმასაც შეგახსენებთ, რომ 2020, წამყვანი ირანელი ფიზიკოსი მოჰსენ ფაჰრიზადე მოკლეს. მაშინაც, და ახლაც, ირანის მთავრობა ხელს ისრაელისკენ იშვებს. ჩვენ ვანანებთ ყველას, ვინც ეს მუხანათური მკვლელობა დაგეგმა, ასე განუცხადა ირანის მასმედიას რეკოლუციური გვარდიის მთავარსარდალმა, გენერალმა ჰუსეინ სალამიმ. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისრაელი დაადანაშაულა მკვლელობებში და გააფრთხილა, რომ ასეთ მოქმედებას მკაცრი შურისძიება მოჰყვება. როგორც ჩანს, ირანის დაზვერვამ სიტყვიერი მუქარა არ იკმარა და მართლა საქმეზე გადავიდა. ანალიტიკოსების აზრით, ამ ტერაქტებით ისრაელზე შურისძიების გარდა, ირანს სხვა მიზანიც აქვს. ეს არის ისრაელსა და თურქეთს შორის ურთიერთობათა დათბობის პროცესის ჩაშლა. ირანს არ მოსწონს, რომ მეზობელი ქვეყნები კეთილი ურთიერთობის განვითარებას ცდილობენ ისრაელთან. თავიდან, აზერბაიჯანი იყო პრობლემა, ახლა, თურქეთი დამატდა. ამიტომ, ირანის მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეაჩეროს საფრთხე, რომელიც სპარსეთს მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის განვითარების გამო ემუქრება.

**ბასუღმა საუკუნემ სამყაროს უძლიერესი პოლიტიკური ლიდერები მისცა, მათ შორის, გამორჩეულნი თავიანთი უკიდურესი რადიკალიზმითა და დაუოკებელი სწრაფი დიქტატორისკენ, მაგალითად, გერმანელი ადოლფ ჰიტლერი, რუსი ვლადიმერ ლენინი, ქართველი იოსებ სტალინი, იტალიელი ბენიტო მუსოლინი, ესპანელი ფრანცისკო ფრანკო, იუგოსლავი იოსიპ ტიტო, და მათი ანტიპოდები, ინდოელი მაჰატმა განდი, ამერიკელი ფრანკლინ რუზველტი, ინგლისელი უინსტონ ჩერჩილი, თურქი ქემალ ათათურქი, სამხრეთ-აფრიკელი ნელსონ მანდელა, ჩინელი დენ სია ოპინი.**

ისტორიამ ყველა ეს ლიდერი გამოკვეთა, როგორც მძლავრი პოლიტიკური ინდივიდი, თითოეული, თავისი მკაფიო მრწამსითა და გაქანებით. 21-ე საუკუნე, შედარებით, ნაკლებად გვანებვირებს ასეთი გამორჩეული სახელმწიფო მეთაურებით, თუმცა, მაინც შეიძლება ის-

# ისრაელის ბრძოლი სელაბი, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ლიდერი ბაბრიულ ბორიჩი



ეთი ლიდერის გამოყოფა, როგორც ამერიკის წინა პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი.

იგი თავისი განსაკუთრებული სტილითა და ქარიზმით მართლა ძალიან განსხვავდება სხვებისგან. დღეს, ჩილეს ახალ ლიდერზე, გაბრიელ ბორიჩზე, უნდა გესაუბროთ. ამ ძალიან განსხვავებულმა პოლიტიკურმა ფიგურამა და იდი ყურადღება მიიპყრო. მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა იმით, რომ საკუთარ ქვეყანაშიც და მსოფლიოშიც, ყველაზე ახალგაზრდა ლიდერი გახდა. გაბრიელ ბორიჩი 1986 წელს, სამხრეთ ჩილეს ქალაქ პუნტაში დაიბადა.

მას ევროპელი მშობლები ჰყვანან: მამა ხორვატული წარმომოსხია, დედა კატალონიური. ბორიჩების ოჯახი ჩილეს საშუალო ფენას განეკუთვნება. პატარა გაბრიელი მშობლიური ქალაქის ელიტურ ბრიტანულ სკოლაში სწავლობდა. სკოლა რომ დაამთავრა, ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ჩილეს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვდა. უნივერსიტეტში, მემარცხენე მიმართულების სტუდენტებს დაუახლოვდა, და მარქსით და სხვა მემარცხენე თეორეტიკოსებით იყო გატაცებული.

გაბრიელი აქტიურად ჩაერთო ჩილეს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოგვიანებით, ის განეწვრიდა მოძრაობაში, სახელად, ავტონომიური მემარცხენეები. ბორიჩის სტუდენტობა გასული საუკუნის ლათინო-ამერიკელი მემარცხენე სტუდენტობის ცხოვრებას მოგვაგონებს: დღეებს ქუჩაში ატარებდა, მეგობრებთან ერთად მიტინგებს აწყობდა, პროკლამაციებს ავრცელებდა. 2008 წელს, ბორიჩი ჩილეს უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის წევრად აირჩიეს. ცოტა ხანში, იგი ამ კავშირის პრეზიდენტი გახდა; ბოლოს, უნივერსიტეტის მმართველ სენატში აირჩიეს.

2011 წელს, ჩილეში, პრეზიდენტ სებასტიან პინიერას დროს, პოლიტიკური კრიზისი წარმოიშვა, რაც უმ-

აღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის ზრდამ გამოიწვია. ქვეყნის ახალგაზრდობა ქუჩაში გამოვიდა. მემარცხენე პარტიებმა და სტუდენტებმა მრავალათასიანი მიტინგები მოაწყვეს. დემონსტრაციებზე და მთავრობის წევრებთან შეხვედრებზე ერთი წვერებიანი ახალგაზრდა კაცი გამოიჩინა ხოლმე. ეს იყო გაბრიელი ბორიჩი. ჩილეს მთელი მოსახლეობა ადევნებდა თავს მის მსურველ გამოხატვებს. ბორიჩმა მთავრობას სწავლის ფულის მომატებაზე უარი ათქმევინა. ეს იყო მისი პირველი პოლიტიკური გამარჯვება. ფრთა-შესხმულმა სწავლას თავი დაანება და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაება. 2013 წელს, თანამებრძოლებთან ერთად, დაახლოდა საზოგადოებრივი მოძრაობა Marca AC. ამავე წელს, ის ჩილეს პარლამენტის წევრად აირჩიეს. მისი ინიციატივით, ჩილეში მემარცხენეთა გაერთიანებული ფრონტი შეიქმნა.

ბორიჩი აქტიურად ჩაერთო საპარლამენტო ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, არ დარჩენილა კომიტეტი, რომელშიც მან თავი არ მოსინჯა. 2019 წელს, ჩილეს მასობრივმა საპროტესტო ტალღამ მოიცვა, რაც ქვეყანაში მძვინვარე ეკონომიკურმა და სოციალურმა უთანასწორობამ გამოიწვია. აქაც ამ მასობრივი საპროტესტო ტალღის ერთ-ერთი მეთაური ბორიჩი იყო. მისი თაოსნობით, ჩილეს მთავრობამ კონსტიტუციის შეცვლის რეფერენდუმი ჩაატარა. ჩილეში ბევრი უჩიოდა პინოჩეტის დროს დაწერილ კონსტიტუციას.

რეფერენდუმამაც ეს აჩვენა, და ჩილეს მოსახლეობის უმრავლესობამ ახალი კონსტიტუციის მიღებას მისცა ხმა. 2021 წელს, მემარცხენეთა საერთო ფრონტმა გადამწყვიტა 35 წლის ბორიჩი საპრეზიდენტო არჩევნებში თავის კანდიდატად წარედგინა. ბორიჩმა, საპრეზიდენტო კამპანიის დროს, მოსახლეობას თავისი მემარცხენე იდეოლოგიით გამსჭვალული პროგრამა გააცნო, რომლის მიხედვით, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი უნდა გაძლიერდეს, მოხდეს საპენსიო და ჯანდაცვის სისტემის ნაციონალიზაცია, დაწესდეს სიმდიდრეზე გადასახადი, საყოველთაო უფასო განათლება, აბორტის ლეგალიზაცია, მიგრანტებისა და ლტოლვილების მიღება.

საპრეზიდენტო არჩევნებში ბორიჩის მთავარი მონინაღმდეგე კონსერვატიული საარჩევნო კოალიციის, ქრისტიანული სოციალური ფრონტის ლიდერი ხოსე ანტონიო კასტი იყო. 2021 წლის 21 ნოემბერს, არჩევნების პირველი ტური ჩატარდა, რომელშიც ბორიჩი მეორე ადგილზე გავიდა ამომრჩევლთა ხმების 26 პროცენტით. მეორე ტურისთვის, გაბრიელ ბორიჩმა შეძლო მთელი მემარცხენე-ცენტრისტულ პარტიების კონსოლიდაცია და გამარჯვდა. მან ამომრჩევლის ხმის 56 პროცენტს მიიღო. მიმდინარე წლის 11 მარტს, გაბრიელ ბორიჩის ინაუგურაცია შედგა. ის ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა მეთაური გახდა.

ბორიჩის გამარჯვებამ ჩილეს ბიზნეს-ელიტა და პოლიტიკური მემარჯვენეები შეაშინა. იფიქრეს, ბორიჩი ახალი ალიენდე ან ჩე გევარა იქნება. ინაუგურაციის შემდეგ გამოსვლისას, ბორიჩმა მოსახლეობა დაამშვიდა. მისი თქმით, ის მემარცხენე კია, მაგრამ წამდვილი დემოკრატი მემარცხენეა, და მოსახლეობას შეჰპირდა, რომ მისი მმართველობის დროს, ქვეყნის რადიკალიზაცია არ მოხდება. ამავე დროს, ხაზი გაუსვა, რომ ჩილეში ნეოლიბერალურმა იდეამ არ გაამართლა.

თუ ჩილეს წინათ ლათინურ ამერიკაში ნეოლიბერალიზმის აკვანი იყო, ახლა მის საფლავად იქცევაო, თქვა ბორიჩმა. საგარეო პოლიტიკაში, მან ყველა გააკვირვა ვენესუელას და ნიკარაგუას გაკრიტიკებით დემოკრატიის ხზოდან გადახვევის გამო, რითაც აჩვენა, რომ ის დემოკრატიის მტკიცე დამცველია და გმობს მემარჯვენე რადიკალიზმს. მის მიერ ბრაზილიის პრეზიდენტის ბოლსონაროს პოლიტიკის გაკრიტიკებაც სწორედ ამაზე მიუთითებს.

ბორიჩის პირადი ცხოვრება და ჩაცმის სტილიც მთლიანად განსხვავდება ჩილეს კონსერვატიული საზოგადოებისგან. ის მთელი ცხოვრება წვერს და გრძელ თმას ატარებდა. მისი ჩაცმის სტილი უფრო ჰიპურს ნაავადა. რაც პრეზიდენტი გახდა, შეცვალა ჩაცმულობა, მაგრამ მხოლოდ ოდნავ. ის ისევ ის გაბრიელია და გადაკეთებას არ აპირებს, თუმცა, გრძელ თმას აღარ ატარებს. წვერს, კი! პიჯაკების ჩაცმა დაიწყო, მაგრამ ჰალსტუხს ვერ შეეგუა. ამით, თითქოს ხაზი უსვამს, რომ ჩილეში კონსერვატიზმი დამთავრდა. პირად ცხოვრებაში თანამედროვე ლიბერალურ სტილს მისდევს. მას მეგობარი ქალი ჰყავს, რომელთანაც ხელს არ აწერს. მისი პარტნიორი 32 წლის საზოგადო მოღვაწე ირინა კარამანოსია. პროფესიით ანთროპოლოგი და პოლიტიკონიერი, ის ქალთა უფლებების ცნობილი დამცველია ჩილეში. ირინა, ისევე როგორც თავად პრეზიდენტი, მემარცხენეთა პარტიის წევრია.

ერთ-ერთ ინტერვიუში, გაბრიელ ბორიჩმა აღიარა, რომ მას ადრე ფსიქონევროზული დაავადება სჭირდა და მკურნალობის კურსს გადაიხდა საავადმყოფოში. ექიმებმა გაბრიელ ბორიჩს ობსესიურ-კომპულსიური აშლილობის დიაგნოზი დაუსვეს. ეს გახლავთ ქრონიკული გრძელვადიანი დაავადება, რომელიც ადამიანში არაკონტროლირებად, გამეორებით, აკვირ-ატივად ფიქრებსა და უნებური, იმპულსურ საქციელს იწვევს. ახლა, ავად ვინ არ ხდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩილეს პრეზიდენტის ავადმყოფობას ყურადღება სულ არ მიაქცია მისმა ამომრჩევლებმა.

**ნუგზარ პ. რუხაძე**  
POSTV



# ზოგჯერ მტერი მოყვარედ უნდა პაქსიოთ!

**სახელმწიფოს მართვისთვის რომ დიპლომატიას საჭირო, ეს ალბათ სკოლის მოსწავლემაც იცის. დიპლომატიას კი რუდუნებით სწავლა უნდა. ეს მეცნიერება ძალიან ფაქიზი, სკრაპულოზური რამ არის, საკუთარ ხასიათს კი არ უნდა დაუმორჩილო, არამედ ხასიათი უნდა დაუმორჩილო მას დიდ ცოდნასა და განათლებასთან ერთად. ამ მხრივ, დიდი წინაპრები თუ არა, შევარდნაძე მაინც გავიხსენოთ... მას ლავრების, მოთმენის, დიპლომატიური სიტყვა-პასუხის უდიდესი ნიჭი ჰქონდა.**

ახლა დღევანდელი მსოფლიოა და დავებდეთ. ჩამოვიდა ჩვენი ქალბატონი პრეზიდენტი საზღვარგარეთიდან. იქ კარგი და საამო ვერაფერი მოასმენინეს საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრებსა და სამართლიანობის შესახებ. სადაც არა სჯობს, განცლა სჯობსო, იფიქრა ქალბატონმა პრეზიდენტმა და სამშობლოში დაბრუნებულმა სახლში მყოფთ, ოპოზიციასა და პოზიციასაც დაუქნია თითო, - მეტი სიფხიბლე, მეტი შრომა და მეტი პოლიტიკური სვლები იყო ჩვენგან საჭირო, თუ ნამდვილად გვსურს ევროკავშირთან მიახლოება და არა ის რადიკალიზმი და აგრესიული ქმედებები, რასაც ჩვენგან ხედავენ და ისმენენო. ამით, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტს სულაც არ ჰქონდა მიზნად, გამოკვეთილად რაიმეში დაედანაშა-

ეს ტექსტი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელმა ქართველმა ახალგაზრდებმა შეადგინეს ჩვენი სახალხო დამცველის ხელმძღვანელობით. თუმცა, ჩვენ, არადიპლომატებსა და არაპოლიტიკოსებს ალბათ ბევრი რამ „კარგად არ გვესმის“...

სწავლა და განათლება რომ თითქმის ყოველს შემძლეა, ყველამ ვიცით, მაგრამ „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“, ისეა ჩვენი საქმე. ყველაფერი ვიცითო, გავიძახით და საქმეს კი ვერას ვშველით. დიდი გაჭირვება გამოვლილი ვართ, ერთ დროს ვიყავით მილიონები, ამ ორიოდვე საუკუნის წინ კი - მხოლოდ რამდენიმე ათასი დავრჩით!.. ამ საშიშროების წინაშე ვდგავართ დღესაც, თუ ჩვენს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას ვერაფერს შევმატებთ, თუ არ მოვუვლით ჩვენს მამაპაპურ მიწას, თუ არ გავერთიანდებით, თუ ერთად არ შევხედავთ კარზე მოდგარჭირსაც და ლხინსაც, თუ არ შევწყვეთ ერთმანეთის ძაგებას, თუ არ ვისწავლით დათმობას და ურთიერთპატივისცემას, თუ ერთად არ დავიწყებთ იმ იარაღის ძიებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და აღორძინებაში, სამართლიანობის დამყარებაში მოგვეხმარება, თუ არ შევქმნით ისეთ განათლებას სისტემას, ისეთ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც მსოფლიოს ნებისმიერ მოქალაქეს სწავლის სურვილი გაუჩნდება, თუ არ აღკვეთავთ ჩვენს გაუთავებელ სიხარბეს, სხვის ქონებაზე შურსა და თვალთვალს და კიდევ რამდენი „თუა“ საჭირო, რომ ჩვენ ის ქვეყანა გავხდეთ, რომელიც ვითომ გვინდა, მაგრამ მის ასაშენებლად თითხაც კი არ ვანძრევთ, ენას კი ვატრივალეთ ნალმა-უკულმა და ვიცით კი, რა დათვურ სამსახურს ვუნვეთ ხალხს? როგორ ვთრგუნავთ და ვარყევთ ადამიანურ მორალს?

შემადრწუნებელია „ტვ პირველის“ ჟურნალისტების შაბათობები, რა არის ეს, აგვისხნას ვინმემ. ნუთუ ეს დემოკრატიაა? და განა მართო „ტვ პირველი“? მეტისმეტად მომრავლდნენ მძაგებელთა, ბრალმდებელთა, ცილისმამბებელთა ტელე თუ რადიოარხები, საიდანაც ხედავთ, თუ როგორ ეფლობიან ჩვენივე ახალგაზრდები, ვითომცდა ჟურნალისტის სტატუსით შეიარაღებულნი, თავსდობის, ძალადობისა და ურცხვობის ჭაობში და ვისმენთ სინანულისა და მაღლიერების გრძობებს აცდენილ „შეგ ზღაპრებს“. ნუთუ ჰგონია ვინმეს, რომ ისინი ამ უცნაური შოუებით კეთილ, საქვეყნო საქმეს აკეთებენ? ვინმეს კი, მაგრამ, თავად რა ჰგონიათ ნეტავ? ნუთუ საქართველოს დაეღია ნიჭიერი და სამაგალითო ადამიანები?! საინფორმაციო არხებში რატომ არ უნდა ჩანდნენ ისინი, მათზე ხშირი საუბარი უფრო წაადგება ქვეყნის მომავალს და იმედს. ყველამ კარგად ვიცით, რომ შეიძლება ბევრი არა, მაგრამ საქართველოში ისეთი წარმატებული ადამიანები გვყავან, რომლებიც ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანას დაამშვენებდნენ. დიხს, ბევრისთვის სანატრელი ადამიანები გვყავან, ჩვენ კი ვშალავთ და ვჩქმალავთ მათ. ეს უკეთეს შემთხვევაში, უარესში კი თავზე ქოქელოს ვაყვით, ტალახს ვესვრით და მთელი მსოფლიოს თვალშიც კი გვინდა გავაშაოთ!...

ადამიანები, ოპოზიციაც და პოზიციაც, განსაკუთრებით კი მასმედიის წარმომადგენლები! - თუ ის არ შეგვიძლია, რომ მტერი მოყვარედ ვაქციოთ, პატრიოტად ამიანში, ჩვენს სისხლს და ხორცს ნათესავში, დიპლომატში, დიდ მეცნიერსა თუ დიდ ქველმოქმედში მაინც დავინახოთ ჩვენთვის მზრუნველი მოყვარედ და მტრის გასახარად არ ვაქციოთ იგი საკუთარი, საყვარელი მიწიდან!

**ბულნარა სტურუა**



## გიორგი ფონაძე: სიძსტის კაპელაში დაბეგვილ კონსერტს მილიონობით აღაპიანი მოისმენს

**— სამშობლოს საპატრიარქო გუნდის ისტორიული კონცერტი სიქსტის კაპელაში და უნიკალური შენობა თბილისის ცენტრში, სადაც მგალობელთა გუნდი, სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ და გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი ერთად განთავსდებიან. შენობის რეაბილიტაციას განათლებების და კულტურის სამინისტროები ერთობლივად განახორციელებენ. ამ და სხვა სიახლეებსა და წარმატებებზე ანსამბლ „ბასიანის“ დამარსებელი, სამების გამრის საპატრიარქო გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ფონაძე საუბრობს:**



— ბეპრი სიხალე ბეპეპე. დავინყებ სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდით, რომელიც 1998 წელს შეიქმნა. მაშინ უკვე დაწყებული იყო ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა, მანამდე კი სიონის საკათედრო ტაძარში ვგალობდით. გუნდმა დიდი ღვაწლი გასწია ქართული გალობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის საქმეში... და აი რამდენიმე დღეში, 26 ივნისის გვიღის ისტორიული კონცერტი ვატიკანში, სიქსტის კაპელაში. მივემგზავრებით კათოლიკური ეკლესიის მეთაურის, რომის პაპის ფრანცისკე პირველის მიწვევით. ეს არის მართლაც ისტორიული მნიშვნელობის გამოსვლა არა მარტო ამ გუნდისთვის, არამედ მთლიანად ქართული კულტურისთვის. სიქსტის კაპელაში დაგეგმილ კონცერტს ვატიკანის ტელევიზია პირდაპირ ეთერში სრულად გადასცემს. მილიონობით ადამიანი მოისმენს ქართულ უნიკალურ მრავალხმიანობას. ასევე, 29 ივნისს ორ საგალობელს შევასრულებთ წმინდა პეტრეს ტაძარში, რომელსაც პირადად დაესწრება რომის პაპი ფრანცისკე პირველი და ვატიკანში ვიზიტად მყოფი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია. შესრულდება „შენ ხარ ვენახი“ და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის მიერ შექმნილი საგალობელი „ავე მარია“. ეს არის გუნდის ისტორიული გასტროლი.

**— დეტალურად მოგიყვებით, 26 ივნისის საღამოს რეპერტუარის შესახებ, რამდენ ხანს გაგრძელდება კონცერტი სიქსტის კაპელაში?**

— კონცერტი ერთმოქმედებიანია, სულ საათნახევრს გაგრძელდება. შესრულდება ტრადიციული საეკლესიო საგალობლები, ხალხური სიმღერები და ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკა — იოსებ კეჭაყმაძის, ზვიად ბოლქვაძის და იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოებები. ასევე, შესრულდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ორი საგალობელი „კირიე ელეისონ“ და „ავე მარია“. პროექტი ხორციელდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, რისთვისაც მადლობას ვუხდით სამინისტროს, ქალბატონ თეა ნულუკიანს და მინისტრის მოადგილეს ბატონ კახა სიხარულიძეს. დიდი შრომა გასწია ქალბატონმა ქეთევან ბაგრა-

ტიონმა, ჩვენმა ელჩმა ვატიკანში და ასევე, წმინდა საყდრის დესპანმა საქართველოში, მისმა აღმატებულებამ ჟოზე ა. ბეტანკურამ.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მადლობა საქართველოს საპატრიარქოს. მათი თანხმობით და ინიციატივით ხორციელდება ეს ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიება. მადლობა ფონდ „ქართულ გალობას“ და ყველას, ვინც წველილი შეიტანა ამ დიდებული კონცერტის ორგანიზებაში...

**— კიდევ რომელი პროექტებია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილი?**

— ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გვაქვს რამდენიმე გრძელვადიანი პროექტი, რომლებიც წლების წინ დავიწყეთ. ესენია — სალოტბარო სკოლების 30 მუნიციპალიტეტში, ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობის ანთოლოგიის მრავალტომიანი გამოცემა, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტები. კულტურის მინისტრის, თეა ნულუკიანის მხრიდან სრული მხარდაჭერა გვაქვს. ასევე, როგორც უკვე აღვნიშნე, კულტურის და განათლების სამინისტროების ერთიანობისას, ბატონი მიხეილ ჩხენკელი იყო ქართული ფოლკლორის დიდი მხარდამჭერი, რისი დავინყვებაც არ შეიძლება და მინდა მადლიერება გამოვხატო მის მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, რომ ეს მხარდაჭერა დღესაც გრძელდება.

**— „ბასიანის“ წლებიდან გვგმობსა და გასტროლებზე რომ გვითხრათ, მსოფლიოს რომელ ქალაქებში მოუხმენენ ქართულ პოლიფონიას?**

— როგორც კი პანდემია დასრულდა, დაიწყო მოწვევები უცხოეთიდან. უკვე გვქონდა რამდენიმე გასტროლი ევროპაში. ივლისში მივედივართ შვეიცარიაში. ახლახან დავბრუნდით ათენიდან, სექტემბერში გველიან გერმანიასა და ჰოლანდიაში. ნოემბერში ამერიკაში გვაქვს ხუთი კონცერტი. ანსამბლის ეს უკვე მეექვსე გასტროლია აშშ-ში. რამდენიმე შტატში „ბასიანს“ უკვე თავისი მსმენელი ჰყავს. ისინი გველოდებიან და ჩვენც ველოდებით მათთან შეხვედრას. გასტროლების პარალელურად, ყოველთვის ვახერხებთ ქართველი მსმენელისთვის კონცერტების გამართვას და ასე იქნება წელსაც. 24 სექტემბერს, ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში ფესტივალ „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი გაიმართება.



ულებიან ან ერთი ან მეორე მხარე. მან თავის ბრიფინგზე დაგვანახა, რომ ის არის ყველას — ოპოზიციისა თუ პოზიციის პრეზიდენტი და თავს უფლება მისცა ორივესთვის ესაყვედურა. და ეს ყველაფერი კი იყო საქართველოს ერთიანობის წარმოსაჩენად! სულაც არ მგონია, რომ პრეზიდენტი რომელიმე პარტიის მხარეზეა და ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნეა. ძვირფასო მკითხველო, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, ვფიქრობ, რომ ადამიანმა უნდა შეძლოს, მტერი მოყვარედ აქციოს და არა პირიქით. მით უფრო ქვეყნის ხელმძღვანელობას ევალება ეს. კარგად ვხედავთ და გვესმის პოზიციისა, როდესაც იგი აქებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ამის საბაზი აქვს, რა თქმა უნდა, ამ დროს მეორე, ანუ ოპოზიციის, მთავრობის ნამოქმედარის ლანძღვა-გინებით ვერ ძლება და ისიც სად და ვისთან, იმ ევროკავშირის წარმომადგენლებთან, ვისგანაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მიღებაში მხარდაჭერას ველოთ. გაგონილა? ეჰ, სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიაში ბევრი მსგავსი ეპიზოდი ნაგვიკითხავს და გაგვიგონია... უკვე წარსული ამბავია, მაგრამ მაინც მინდა ყურადღება გავამახვილო იმ გაკვირვებაზე, რაც გამოხატა ჩვენმა ზოგმა პოლიტოლოგმა (მათ შორის მეც...) ევროკავშირის რეზოლუციასთან დაკავშირებით. მისი ტექსტი უთუოდ ევროკავშირის წევრებმა შეადგინეს, განათლებულმა ადამიანებმა, პოლიტიკოსებმა, მაგრამ ბევრმა ჩვენგანმა რატომღაც ვერ დაინახა ის დიპლომატიური ენა, სამეგობროდ და სამოკავშირეოდ განწყობილ პოლიტიკოსებს რომ უნდა ახასიათებდეთ. გეგონებოდა,

მწვრთნელი

მაუ ასა: გიორგი მე-19!

მწვრთნელის შემდეგ თბილისის „დინამო“ მთავარ მწვრთნელ კახი ცხადაძემ...



ვალდებულებები ეტაპზე მოუწევთ სასტარტო შეხვედრის გამართვა...

არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც დინამოელთა პრეზიდენტი 2011 წლის იანვარში...

ახალი დამრიგებლის დებიუტი მართლაც ფერადი გამოვიდა – დინამოელებმა „გაგრა“ 5:0 გაანადგურეს...

სალიჩაზა

„თავისუფლება“ დაამრგვალეს

უკვე გაუნწყობ, რომ ბუქარესტში მიმდინარე ევროპის ჩაბრუნება...



მაისურაძემ (71), სანდრო ყურაშვილმა (80) და ნიკა ფანცულაიამ (92).

თანატოლებს ღირსეულად აუბეს მხარი „თავისუფლებმა“, რომლებმაც რუმინულ სალიჩაზე...

კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ ნიკოლოზ ბოჭორიშვილი (48) და გოგა ოთინაშვილი (65)...

მოკლედ

კალონსობა. ლეონი (მექსიკა). ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი. გერვასი თაბაგირი (96) – 3 ოქრო, ნიკოლოზ ესართია (89) – 3 ვერცხლი.

ჭადრაკი. თბილისი. ქალთა 79-ე ეროვნული ჩემპიონატი. პრიზიორები: ნინო ბაციაშვილი – 8, სალომე მელია – 7,5, ლელა ჯავახიშვილი – 7 ქულა.

რაზმი. სამხრეთ აფრიკა. ქარი კაპი. მეორე დივიზიონი ნახევარფინალი. გრიფონი – შავი ლომი 41:38 (დამატებით დროში. ძირითადი დრო – 31:31).

თეიქნემი (ლონდონი). ინგლისი – ბარბაროსები 21:52. მასპინძელთა განდგურებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს დავით ნინიაშვილმა და ბექა გაგვილიძემ.

წვალავური. ბუდაპეშტი (უნგრეთი). მსოფლიოს ჩემპიონატი. „ა“ ჯგუფი. უნ-

გრეთი, ბრაზილია, მონტენეგრო, საქართველო.

საქართველოს ნაკრები: რაზმაძე, შუბლაძე, გვეტაძე, ჯახაია, დადვანი, ელაჩა, ბარაღდი, ბითაძე, ადვიშვილი, შუშიაშვილი, ვაპენსკი, იმნაიშვილი, მაგრაქველიძე, ვასიჩი, სარიჩი, მესხი.

როზაუარი. უნცინი (მონტენეგრო). დევისის თასის გათამაშების ევროპული ზონის მესამე ჯგუფი (საქართველო, სომხეთი, კვიპროსი, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მოლდოვა, ჩრდილოეთი მაკედონია, მონტენეგრო).

საქართველოს ნაკრები: მეტრეველი, ფურცელაძე, ბაკში, ტყემალაძე, კაპიტანი – დავით კვერნაძე.

სელავური. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. „ბარსელონა“ – „ვიევე კელჩე“ 37:35 (პენალტების სერიაში. ძირითადი დრო – 31:31).

საქართველოში სორბლის მოსავლიანობა 3 პროცენტს ვერ აღწევს

საქართველოში სორბლის საშუალო მოსავლიანობა წლებულს 2,7%-ის დონეზეა. დაახლოებით 4-5 წლის წინ ეს მაჩვენებელი 2,3% იყო.

ამ მხრივ წლებანდელი სეზონი გარკვეულწილად იმედისმომცემია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის გელა ხანიშვილის ინფორმაციით, 2022 წლის მოსავალი იძლევა შესაძლებლობას, რომ თვითურთხევადი მარცხენა მხარის 5%-ით გაიზარდოს, დაახლოებით ამდენივეთი მოიმატებს მომდევნო წლების განმავლობაშიც, რაც საბოლოოდ დასახული მიზნის განხორციელებას რეალურს გახდის.

როგორც ხანიშვილი აღნიშნავს, წელს უკეთესი შედეგი განპირობებულია როგორც ამინდით, ასევე აგროლონისძიებებით, რომლებიც ფერმერებმა მთავრობის ხელშეწყობით ჩაატარეს.

„სოფლის მეურნეობა დიდწილად ამინდზეა დამოკიდებული, ცდას არ ვაკლებთ, მაგრამ თუ ამინდმა ხელი არ შეგვიწყობს, პრობლემის მოგვარება ძალიან გაჭირდება. თუმცა წლებანდელი მოსავალი ამ მხრივ დიდ იმედს იძლევა. სანდრო ვეტიკაზე სეზონი გამოირჩეოდა გვალვით, ამიტომ ნაკლებ მოსავალს ველოდით, მაგრამ სიტუაცია გამოსწორდა. ადრეულ გაზაფხულზე ყინვამ და თოვლმა რადიკალურად შეცვალა ვითარება, თავის მხრივ, ფერმერებმაც დიდი მუშაობა გასწიეს და აგროლონისძიებები ყველა წესის დაცვით შეასრულეს. ჩვენგანაც მეტი ხელშეწყობა იყო, რის საშუალებასაც სახელმწიფო პროგრამები იძლევიან. ერთი მხრივ, „მეკანონოების“ ტექნიკა გავასხვისეთ და კერძო სექტორში გადავიდა. შარშან 13, ხოლო წელს 10 კომპანიი შეიძინეს ფერმერებმა, ხოლო ნაწილი ჯერჯერობით სახელმწიფოს ხელში რჩება და მომავალში გასხვისდება. ამდენად, საკმაოდ ნაყოფიერად ჩატარდა სეზონის მზადების პროცესი, ფაქტობრივად ყველა პირობაა, რომ 2022 წელს გაცილებით უკეთესი ალოობა გვექონდეს. თუკი აქამდე 15%-ს შეადგენს თვითურთხევადი ყოფა, სავარაუდოდ 20%-ს მიაღწევს. ამ ეტაპზე 5%-იან ზრდას ვფიქრობთ. დროთა განმავლობაში 50%-იანი თვითურთხევადი მოხდება არ იქნება შეუძლებელი, რასაც დიდი მუშაობა სჭირდება“, – ამბობს გელა ხანიშვილი.

ცხადია, სორბლის თვითურთხევადი ყოფის გასაზრდელად მთავრობას ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მოუწევს ნა-

თესი ფართობების გაზრდის მიმართულებითაც. ხანიშვილი ამბობს, რომ გარკვეული ზომები მიღებულია და ფართობების ზრდასთან ერთად, დიდი ყურადღება მიექცევა მოსავლიანობის ზრდასაც, რაც მეხორბლეობაში ბოლო დროის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა.

„საშემოდგომოდ გვექნება ახალი პროექტი, რომელიც საბილოტე რეჟიმში მოსავლის უკეთესი მოვლის გარანტიას უზრუნველყოფს. ეს საშუალებას მოგვცემს, გაიზარდოს როგორც ფართობები, ასევე საერთო მოსავლიანობა, რომელიც, 2021 წლის მდგომარეობით, 2,7 ტონა 1 ჰექტარზე. წინა წლებში, დაახლოებით 4-5 წლის წინ ეს მაჩვენებელი 2,3% იყო. ვფიქრობთ, მიმდინარე წელი გამოჩვეული იქნება როგორც მოსავლის დაბინავების ორგანიზების თვალსაზრისით, რისთვისაც შექმნილია შტაბი, ასევე გამოჩვეული იქნება კარგი მოსავლიანობით. შარშან მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ავიღეთ, დაახლოებით, 140 ათასი ტონა სორბალი, წლებანდელი მაჩვენებლები 160-170 ათას ტონას მიაღწევს“, – აცხადებს გელა ხანიშვილი.

რაც შეეხება სორბლის მოსავლიანობის ევროპულ სტანდარტს, სპეციალისტების ინფორმაციით, საქართველოში 13ა ფართობზე მარცხენა მხარის მოსავლიანობით საქართველო ევროპას 3,5-ჯერ, სხვა აგრარულ კულტურებში უფრო მაღალი მაჩვენებლითაც ჩამორჩება. 1 ჰექტარზე საქართველოში 2.7 ტონა სორბალი მოჰყავთ, ევროპაში კი – 9 ტონა. გარდა ამისა, საქართველოში 1 ჰექტარ მიწაზე 2.1 ტონა ქერი იწარმოება, ხოლო ევროპაში – 7 ტონა.

ცნობისთვის, გლობალურ სასურსათო ბაზარზე რუსეთი და უკრაინა გამოჩვეული მოთამაშეები არიან. კერძოდ, 2021 წელს სორბლის ექსპორტი რუსეთიდან და უკრაინიდან სორბლის გლობალური ექსპორტის 30%-ს შეადგენდა.

PMC კვლევითი ცენტრის მიმოხილვის მიხედვით, 2012 წლიდან 2017 წლამდე რუსეთის წილი საქართველოს სორბლის იმპორტში სტაბილურად იზრდებოდა, რასაც მოჰყვა ვარდნა 2018-2019 წლებში რუსეთში დაბალი მოსავლიანობისა და გაზრდილი ფასების გამო. შედეგად, საქართველოს სორბლის იმპორტში ახალი მოთამაშე, ყაზახეთი, გამოიკვეთა. მას შემდეგ რუსეთიდან სორბლის იმპორტის ფასებმა მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა და 2022 წლის პირველ კვარტალში მაქსიმუმს (0,33 აშშ დოლარს/კგ) მიაღწია, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს 2021 წლის ივნისიდან რუსეთის მიერ სორბალზე საქსპორტო ტარიფების დანესებითა და ომის ეკონომიკური შოკით.

მარი ჩიტაია




# „საპარტნიორო ფონდი“ მთლიანად უნდა გარდაიქმნას

„საპარტნიორო ფონდი“ მთავრობის სხდომის დღის წესრიგში ფონდის შესახებ შეტანილი საკითხის თაობაზე განცხადებას ავრცელებს. „საპარტნიორო ფონდის“ განცხადებით, მისი მთავარი მიზანია, რომ დაეხმოს მთავრობისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია.

მათივე განცხადებით, ფონდის რეორგანიზაციის ერთ-ერთი შედეგად წარმოიქმნება თავეთი ფულგადასახდელი არსებული სახელმწიფო კომპანიების შესახებ სტრუქტურისთვის გადასახდელი.

ცივლად საჭიროებს ფონდის საქმიანობის შესახებ კანონში მნიშვნელოვან ცვლილებებს. შესაბამისად, არსებული გაუქმება და ახალი კანონპროექტის შემუშავება გადაწყვეტა თუ უკვე არსებულ კანონში ცვლილებების შეტანა – ამის შესახებ მსჯელობა და სამუშაო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან. მნიშვნელოვანი ეტაპები უკვე გავლილია, ასე რომ, ვიმედოვნებთ, კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი მალე გამოვლინდება და გადაეცემა პარლამენტს განსახილველად.

„საპარტნიორო ფონდი“ 2011 წელს დაფუძნდა, თუმცა ამ წლების განმავლობაში არ მომხდარა ფონდის არანაირი განახლება ან მისი სტრუქტურული სახეცვლილება. აღსანიშნავია, რომ „საპარტნიორო ფონდის“ ფორმატის, საქმიანობისა და მანდატის ცვლილების შესახებ საკითხი უკვე კიდევ წლების წინ ფონდის მიერ ინიცირებული. „საპარტნიორო ფონდის“ მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ იმ გამოწვევების ფონზე, რომლებიც ქვეყანაშია, ფონდისთვის პრიორიტეტული ექსპორტზე ორიენტირებული და მალატიქნოლოგიური სანარმოების დაფინანსება უნდა გახდეს, რომელთა დაფინანსების წყაროებს ფონდი თავად მოიზიდავს. ასევე, უმნიშვნელოვანესია, ფონდს ჰქონდეს მეტი მოქნილობა იმისთვის, რომ ინვესტირებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით, განავითაროს ეკონომიკის ის დარგები და მიმართულებები, რომლებიც დღეს ინვესტიციების ნაკლებობას განიცდის, ან საერთოდ არ არის დაფინანსებული. შესაბამისად „საპარტნიორო ფონდმა“, როგორც სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტმა, უნდა უზარუნოს ქვეყნის ეკონომიკაში დღეს არსებულ გამოწვევებს, უფრო ეფექტიანი მუშაობისთვის კი საჭიროა მისი რეფორმირება, – ნათქვამია „საპარტნიორო ფონდის“ განცხადებაში.



საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ენერჯეტიკისა და გამოთვლითი ტექნიკის და ავტომატიკის ფაკულტეტების 1958-64 წლების ჯგუფელები და კურსელები გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, განათლებისა და მეცნიერების ცნობილი ორგანიზატორის, სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის, აკადემიკოს

## გორა როგორაა

გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

გივი ავდუშელიშვილი, რევაზ არველაძე, ჯემალ აპოხია, ბიორგი ბობიჩაიშვილი, გურა დათუნაიშვილი, თამაზ ლეიშვილი, თემო მამაცაშვილი.

„ბოლო პერიოდში ენერჯეტიკული ობიექტები უკვე გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს. ამ დროისთვის ფონდის მფლობელობაში დარჩა „საქართველოს რკინიგზა“ და „გაზისა და ნავთობის კორპორაცია“, რომელთა გადაცემაც ასევე იგეგმება, თუმცა, ამ სახელმწიფო კომპანიების მასშტაბურობიდან გამომდინარე, არის მთელი რიგი საკითხები, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მიღებული გადაწყვეტილება, სახელმწიფო გადასახდელი ფონდის სამეთვალყურეო საბჭოდან და ის დაკომპლექტდეს დამოუკიდებელი პირებით, რაც ფონდს მეტი მოქნილობას მისცემს. შესაბამისად, „საპარტნიორო ფონდის“, როგორც უმსხვილესი სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტის რეფორმირება ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობის განახლო-

# „თურქული მედიკამენტები 155 000-ზე მეტმა მოქალაქემ შეიძინა და... 74 მილიონის ნაცვლად, 23 მილიონი ლარი გადაიხადა“



რამდენიმე თვეა, რაც თურქეთიდან მედიკამენტები შემოვიდა საქართველოში და მოქალაქეებს მათი შეძენა რამდენჯერმე იაფად შეუძლიათ. გაიზარდა თუ არა მედიკამენტების ნუსხა, რომელიც თურქეთიდან შემოვა? როგორ კონტროლდება იმპორტირებული ნაწარმები და სხვა საინტერესო კითხვებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუბუნიანი გვიპასუხებს:

დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გააკეთოს განაცხადი. ჩვენი მხრიდან თითოეულ ასეთ შემთხვევაზე მყისიერი რეაგირება ხდება. – ყველა წამალი შემოვა, რაც ძვირადღირებული იყო, თუ მხოლოდ გარკვეული კატეგორიების წამლები შემოვა თურქეთიდან? – პირველ ეტაპზე, თურქეთის ბაზრიდან საქართველოში ის მედიკამენტები შემოვიდა, რომლებზეც ყველაზე მეტი მოთხოვნა იყო და რადგან თურქეთის ბაზარი არ იყო გახსნილი, მოქალაქეები, კერძო პირები, თურქეთში ყიდულობდნენ ამ მედიკამენტებს, ფორმა 100-ის საფუძველზე. ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული ეს რეფორმა უწყვეტად გაგრძელდება. შესაბამისად, გაიზარდა იმ მედიკამენტების ჩამონათვალი, რომლებიც თურქეთის ბაზრიდან საქართველოში მოხვდება. – გაცემულ მემორანდუმში, თურქეთში ფაქტობრივად მალატიქნოლოგიის მალატიქნოლოგიის რა მექანიზმი არსებობს? – თურქეთში არსებობს სპეციალური მაკონტროლებელი მექანიზმები და მალატიქნოლოგიის მქონე დაწესებულებები, რაც გამოიწვევს ფარმაცევტულ ბაზარზე უზარისხო ან დაბალი ხარისხის მედიკამენტების მოხვედრას. ამასთან, ყველა მედიკამენტი, რომელიც საბარათივით ტარიტორიაზე შემოდის, რეგულირების სააგენტოს წამლის რეგისტრაციის საგადასახდელი რეგისტრაციის ჩამონათვალი არის GMP ხარისხის, შესაბამისად, ნებისმიერი მედიკამენტი, რომელიც რეგისტრირდება და შემოდის საქართველოში, არის GMP-ის ხარისხის და შეუძლებელია, რომ უზარისხო მედიკამენტი შემოვიდეს თურქული ბაზრიდან.

– ცოტა ხნის წინ, თურქული წამლების ახალი პარტია შემოვიდა, პერიოდულად გაიზარდა თუ არა თურქული წამლების ჩამონათვალი? – 2022 წელს, ფარმაცევტული სექტორის გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ მნიშვნელოვანი რეფორმები გავატარეთ. დღეის მდგომარეობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სააფთიაქო ქსელებში ხელმისაწვდომია თურქეთიდან იმპორტირებული 400-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი. აღსანიშნავია, რომ რაოდენობა ყოველდღიურად მზარდია. შედეგად, მედიკამენტებზე ფასები 60%-80%-მდე შემცირებულია. 2022 წლის მარტიდან დღემდე, თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტები, 155 000-ზე მეტმა მოქალაქემ შეიძინა. ძველი ფასებით, 74 მილიონის ნაცვლად, დაახლოებით, 23 მილიონი ლარი გადაიხადა. ჩვენი რეფორმის ერთ-ერთი მიზანია სწორედ ეს არის, გაიზარდოს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა და შემცირდეს მოსახლეობის ჯიბიდან გადახდები. აღსანიშნავია, რომ ფარმაცევტული ბაზრის რეფორმა კვლავ გაგრძელდება. ასევე გაიზარდა იმ მედიკამენტების ჩამონათვალი, რომელიც საქართველოში თურქეთის ბაზრიდან შემოვა, შესაბამისად, იქნება გაცილებით ხელმისაწვდომი. – მოქმედი აფთიაქების მხრიდან რაიმე წინააღმდეგობა ხომ არ გხვდებათ, რადგან ამბობენ, რომ ფარმაცევტებს არ აძლევს თურქული წამლების გაყიდვის უფლებას, სანამ თავიანთ ძვირადღირებულ წამლებს არ გაყიდონ? კონტროლის მექანიზმები როგორია და როგორ ხდება აფთიაქების რეგულირება? – ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო მუდმივ რეჟიმში ახდენს ფარმაცევტულ ბაზარზე დაწყებული რეფორმის მიმდინარეობის მონიტორინგს. გარდა ამისა, მოქმედებს ცხელი ხაზი 15-05, სადაც ამ კუთხით

გარდა ამისა, 2022 წლის ბოლომდე, თბილისში, წამლის ხარისხის კონტროლის პირველი ლაბორატორია გაიხსნება. დაწესებულებაში, მალატიქნოლოგიური აღჭურვილობის საშუალებით, მედიკამენტების ხარისხის შესწავლა და მათი კონტროლი მოხდება. ეს უკანასკნელი კიდევ დამატებითი, ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმი იქნება, რომ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე არ მოხვდეს უზარისხო მედიკამენტები. – თურქული წამლების ხარისხი ჩამოუვარდება თუ არა მათ ძვირადღირებულ ანალოგებს? – როგორც უკვე აღვნიშნე, თურქეთის ბაზრიდან, საქართველოში შემოტანილი მედიკამენტების ხარისხი უმაღლეს სტანდარტებს აკმაყოფილებს. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ფასშია.

ლილი და ზაურ თელიები ოჯახით იუნყებიან მეგობრის

## გიორგი (გოგი) მახათაძის


გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიში: №GE19TB76015360-2010009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეკონსტრუქციის ინსტიტუტი აბრძობებს მუშაობას მისამართზე: თბილისი, 13 ა. VII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98. მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილება. გისურვებთ ჯანმრთელობას!

გოგონა



ისრაელ-საქართველოს მრავალპროფილური სამედიცინო კვლევითი კლინიკა „ჰელსიკორის“ ექიმთა კოლექტივი 80 წლის იუბილეს ულოცავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-რეპროდუქტოლოგს, უკეთილშობილეს პიროვნებას

არჩილ სომასურიძეს


და უსურვებს ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს.

კლინიკის სახელმძღვანელო ნოდარ ემუხვარი

ახალი ბულვარი დაბა ურბეში

გურიის სანაპირო ზოლი მზად არის ტურისტებს კომფორტულ და მონეტარულ გარემოში უმასპინძლოს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურბეში ბულვარის მოწყობის და მისი მიმდებარე ცენტრალური ქუჩების სამუშაოები დასრულდა, - ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა თაყაიშვილის ქუჩასა და ბულვარის დამაკავშირებელ გასასვლელებს, მოეწყო მცირე არქიტექტურული ფორმები და ბულვარის ინვენტარი, ბავშვთა მოედანი და სივრცეები სპორტული აქტივობებისთვის. ბულვარში დამონტაჟდა გარე განათება, მოეწყო ველობილიკები, მცირე მოედნები და სივრცეები ღია სეზონური კაფეებისა და კომერციული ობიექტებისთვის.



ამინდის გაუარესების შესახებ გააფრთხილება

გარემოს ეროვნული სააგენტო მოსახლეობას ამინდის გაუარესების შესახებ აფრთხილებს.

„21 ივნისს დღის მეორე ნახევრიდან 23 ივნისის დილაამდე საქართველოში მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა და ელჭექი, ზოგან ძლიერი (დასავლეთ საქართველოში ზოგან ძალიან ძლიერი), შესაძლებელია სეტყვა, ქარის გაძლიერება, ზღვაზე 3-4-ბალიანი შტორმული ღელვა.“

მოსალოდნელია ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია, გამოიწვიოს საქართველოს მდინარეებზე წყლის დონის მნიშვნელოვანი მატება, პატარა მდინარეებზე წყალმოვარდნები, ხოლო მთიან ზონებში ღვარცოფული და მენწყული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება“, - აღნიშნულია გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.

5 წლის ბრიტანელმა ბავშვმა ნიგნი გაიხსნა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა!



5 წლის ბრიტანელმა გოგომ - ბელა ჯეი დარკმა ნიგნი დაწერა, ნახატებით თავადვე გააფორმა და გინესის რეკორდების წიგნში აღმოჩნდა. ბელა მდებარეობითი სქესის ყველაზე პატარა ადამიანია, რომელმაც ნიგნი გამოსცა. (ბიჭებში, ეს რეკორდი 4 წლის ამერიკელ ბიჭს ეკუთვნის). „დაკარგული კატა“, - ასე ჰქვია ნიგნს, რომლის 1000-ზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა.

„ნიგნი კატაზეა, რომელიც სახლიდან გავიდა და დაიკარგა. კატა აცნობიერებს, რომ სახლიდან დედის გარეშე არ უნდა გასულიყო. სწორედ ეს იყო ჩემი შვილის მთავარი გზავნილი“, - ამბობს ბელას დედა.

ნობელის მედალი 103.5 მილიონ დოლარად გაიყიდა, თანხა უკრაინულ ლტოლვილებს მოხმარდება

ბასული წლის ნობელის პრემიის მფლობელმა, „ახალი გაზეთის“ მთავარმა რედაქტორმა დიმიტრი მურატოვმა ნობელის მედალი აუქციონზე გაყიდა. უცხოური მედიის ცნობით, აუქციონზე გატანილი მედალი 103.5 მილიონ დოლარად გაიყიდა.



მურატოვის გადაწყვეტილებით, თანხა „იუნისეფის“ საერთაშორისო ფონდს ჩაერიცხება, რომლის საშუალებითაც, რუსეთის აგრესიის შედეგად ლტოლვილად ქცეულ ბავშვებსა და მათ ოჯახებს დაეხმარებიან.

კონგ-კონგში წყალზე მსურავი რესტორანი ჩამოიშრა

რესტორანი James, რომელიც კონგ-კონგის ნავსადგურში თითქმის 50 წლის განმავლობაში იყო განთავსებული, სხვა ადგილას გადატანის მიზნით, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში გაიყვანეს, რა დროსაც, კონსტრუქცია გადატრიალდა და ჩაიძირა.



კომპანია Aberdeen Restaurant Enterprises-ში, რომელსაც რესტორანი ეკუთვნის, აცხადებენ, რომ ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა. რესტორანი 2020 წლის მარტში, კოვიდპანდემიის გამო დაიხურა. მას ყოველწლიურად 3 მილიონზე მეტი ადამიანი სტუმრობდა. მის ცნობილ სტუმრებს შორის იყვნენ ბრიტანეთის დედოფალი, მსახიობი ტომ კრუზი და ცნობილი მილიარდერი რიჩარდ ბრენსონი.

ბერმანიაში რუსეთის დუმის სანქცირებული წევრისა და მისი მეუღლის მფლობელობაში არსებული სამი ბინისა და საბანკო ანგარიშის კონფისკაცია განახორციელდა



გავრცელებული ცნობით, სამივე საცხოვრებელი ფართი მიუნხენში მდებარეობს. საბანკო ანგარიშზე კი, ყოველთვიურად 3 500 ევროს ოდენობით ბინების გაქირავებიდან შემოსული თანხა ირიცხებოდა. პიროვნება, რომელიც აღნიშნული ბინების მფლობელია, ინციტალით არის მოხსენიებული.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

შპს „ახალი საუკუნე“ №170

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანაშვილი 599 53-76-16;

ალექს ალანაშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35 შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 იმპრინტ სტამბა „კოლორი“ ქ. პალდავასის №3

კოლორი ჰაუზი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საჩუქრადღეობა! რედაქციის მიერ შუამუშავებული მასალის დანიშნულება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმობა, გუდაამ არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა პარასკევს, 24 ივნისს



უსტოური ვალუტის კურსი: აუუ დოლარი - 2.9340; ეპრო - 3.0913 ბრიტანული პირანქა სტერლინგი - 3.5962; 100 რუბლი - 5.2679; თურქული ლირა - 0.1689; აზერბაიჯანული მანათი - 1.7301; 1000 სომხური დრამი - 7.0233.

Table with exchange rates for various currencies and services.

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge